წლიწადი მეოთხე

ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 60 კაპ. უკანასკნელზე—50 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადების ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

## უკანასკნელი ცნობები

ოსმალეთში ინგლისელებმა ქალ. ხომსი დაიჭირეს.

ბალკანეთში იტალიელები დურაცოში შევიდნენ.

კორტემანკის ბრძოლის ხაზი იზეკთან და მენესთან მოკავშირეთა ხელში გადავიდა.

გუმბრი ოსმალებმა დასტოვეს.

სამშაბათს, 15 ღვინობისთვეს გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო

კნეინა ნინო მიხეილის ასული

**ჩოლოყაშვილისა**

(დაბად. ამილახვრისა)

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დედა მისი კნეინა ანნა ესტატეს ასული ამილახვრისა, მეუღლე განსვენებულისა სოლომონ მიხეილის ძე ჩოლოყაშვილი და მამიდა ნატალია გივის ასული ცერაშვილისა. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათზედ (ტატიანის ქუჩა № 13). გამოსვენება ბინიდან პარასკევს, 18 ღვინობისთვეს, დილის 9 საათზედ. დაკრძალვა ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. (2—1813—1)

სამშაბათს, 15 ოქტომბერს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

კნ. ნინო მიხეილის ასული

**ჩოლოყაშვილისა.**

(თავ. ამილახვრის ასული).

რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ კნ. ანნა ალექსანდრეს ასული ამილახვრისა შვილებითურთ. პანაშვიდი მუდამ-დღე 5 ნახევარ საათზე საკუთარ ბინაზე (ტატიანეს ქ. № 13). გამოსვენება პარასკევს, 18 ოქტომბერს დილის 9 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. წირვა და დაკრძალვა იქვე. (2—1814—1).

თამარა ალექსანდრეს ასული ბუჭყიევისა, ანნა ალექსანდრეს ასული ბაგრატიონ მუხრანსკისა ქმრით და შვილებითურთ გულითადს მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველნი: ძვირფას დედის და შემდეგნი, სიდედრისა და დიდიდედის გარდაცვალებას ამა თვის 14-ს

მარიამ ნიკოლოზის ასულის

**ბუჭყიევისას**

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე (ახალ დროით) მოსკოვის ქუჩა № 4. გასვენება მოხდება ამა თვის 18-ს, პარასკევს, დილის ათ საათზე, ანჩისხატის სობოროში, სადაც იქნება წირვა და პანაშვიდი. დაკრძალვა იქავე სასაფლაოში. (1—1812—1)

განუსაზღვრელი მწუხარებაში მყოფნი ძმები ტარასი და ფილიმონი, რძალი სოფიო მიხეილის ასული, დები ევფენია (ებე) გუგუნავასი, მარიამ გოგუშვილისა, აგრაფინა და ლიუბა, ძმიშვილი გიორგი, სიძე ილია სპირიდონის ძე გოგუშვილი აუწყებენ ნათესავებსა და მეგობრებს რომ ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი 5 აპრილს ოსმალებთან ბრძოლაში მოვალეობის შესრულების დროს გმირულად დაღუპული

ბრიგოლი (ხუტუ) სოლომონის ძე

**სპრინკველის**

დანიშნულია ონტოფოის მთავარ ანგელოზის ეკლესიაში 5 ოქტომბერს. (ახ. სტ. 18).

იმავე დღეს (5 ოქტ.) 18 ოქტომბერს გადახდილი იქნება ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში წირვა და პანაშვიდი. დასაწყისი დილის 10 საათზე. (1—1815—1).

კახეთის რკინის გზის საზოგადოების გამგეობა და სამმართველო ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროვოდ გარდაიცვალა კახეთის რკინის გზის უფროსი

ალექსანდრე სვიმონის ძე

**წივწივაძე**

პანაშვიდები ყოველ დღე შუადღის 1 საათზე და საღამოს 7 საათზე საკუთარ ბინაზე (ალექსანდრეს ქუჩა, № 16).

ცხედრის გამოსვენება მოხდება დღეს, ხუთშაბათს დილის 10 ნახევარ საათზე დიდუბის ღვთის მშობლის ეკლესიაში; დაკრძალვა ამავე ეკლესიის გალავანში. (1—1808—1).

ნატალია, ზაქარია, დათა პეტრიაშვილები და ელისაბედ კრელაშვილისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა სოფ. ბაკურციხეში საყვარელი და დაუვიწყარი მამა

**ილია ზაქარიას ძე პეტრიაშვილი**

დაკრძალვა 4 ოქტომბერს (ძველი სტილით) სოფ. ბაკურციხეში. (1—1811—1).

დარია ილიას ასული და დეკ. ნიკოლოზ გიორგის ძე შვილებით: სვიმონ ცოლშვილით და ალექსანდრე (საშა) ნათიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა პირველის მამა, მეორის სიმამრი და დანარჩენთ ძვირფასი პაპა

**ილია ზაქარიას ძე პეტრიაშვილი**

დაკრძალვა ხუთშაბათს, 4 ოქტომბერს (ძვ. სტ.) სოფ. ბაკურციხეში. (1—1810—1).

**სახელმწიფო თეატრი**

საოპერო სეზონი 1918 წლ. დირექცია ა. ნ. ლევიცკისა

ხუთშაბათს, ღვინობისთვის 17-ს, დაიდგმის

**ტოსკა**

ოპერა 3 მოქმედებად მუსიკა მასსენესი.

მონაწილეობას იღებენ: სკვარეცკისა, დობროვოლსკი, ბერეზინი, ვრონსკი, დემიანენკო, ეზროვი და კურბატოვი.

დირიჟორი სამოსუდი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პარასკევს, 18 ოქტომბერს „ბორის გოდუნოვი“ 19—„ჟიდოვკა“, 20—დილით „ფაუსტი“ საღამოთი „რიგოლეტტო“. (1—1034—1)

**კაფე „ერთობა“**

კაფე „ერთობა“, კაფე „ერთობა“,
რა საგულისხმო გასაგონია!
ამაზე იაფ ჯანსაღ სადილსა
ვერსად ვერ ჰპოვებთ არა მგონია.

ორ თავ სადილში, თავისი პურით,
თქვენ „ერთობაში“ შვიდ მანეთს მისცემთ,
და მადლიერი მორთმეულ კერძით
კაფე „ერთობას“ მუდამ პატივს სცემთ.

ქართულ კლუბის ქვეშ კაფე „ერთობას“
ვინ არ იპოვის, ვინ არ მიაგნებთ?
ა დაც კი გინდათ დაკავშირდეთ
კაფე „ერთობის“ სადილს მიაწოდეთ. 25—7

ქართულ დრამატიულ საზოგადოების

**ახალი დასი**

ქ-ნნი: აბაშიძე ე, ამირეჯიბი ც., ანჯაფარიძე ვ., გაბრეკელი ბ., გაბრეკელი ნ., გურგენიძე ვ., ერისთავი ე., მჭედლიშვილი ნ., ქიქოძე ა., ლოლობერიძე თ., ჩიკვინიძე ლ., ციმაკურიძე ე., წერეთელი ნ. და ჯავახიშვილი.

ბ-ნნი: ალსაბაძე ტ., არადელ-იმხნელი გ., ალექსიშვილი ა., არაბიძე ვ., გელოვანი მ., ზარდალიშვილი ი., კარტოზია ა., კობახიძე ვ., კორიშელი პ., ლორთქიფანიძე მ., მჟავიად., ფანიაშვილი ლ., ცინაძე ნ., ცხაკაია პ., წერეთელი ი., ჭიაურელი მ., ხერხეულიძე მ., ჯიქია ვ.—სუფლიორი გ. გურული.

რეჟისორები: ბერიშვილი შ., ფალავა ა., შათირიშვილი კ.

მთავარი რეჟისორი და დასის გამგე: გ. ჯაბადარი.

სეზონი გაიხსნება ნოემბრის პირველ რიცხვში, თბილისის არტისტულ საზოგადოების თეატრში. რეპერტუარის პირველი ნაწილი: „სარწმუნოება“—მუსიკალური დრამა 5 მ. ბრიოსი, მუსიკა სენ-სანსისა; „ვითა ფოთლები“—4 მ. ჯაკოსისა; „ბურუსი“—3 მოქ. ჭანტურიშვილისა; „ავგაროზი“—პიესა ზღაპარი 4 მოქ. შ. შარაშიძისა; „მარიამ მაგდალინელი“—პაულ ჰაისისა; „ღალატი“—5 მ. ა. სუმბათაშვილისა. სეზონი გაიხსნება პიესით—„სარწმუნოება“. (3—1032—2)

**ქართული ლატარეა**

5.000,000 მან.

ქართულ უნივერსიტეტის და თეატრის სასარგებლოდ

პირველი მოგება 100,000 მანეთია

ბილეთები იყიდება ყველგან, სადაც კი გამოცხადებულია. (10—2)

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

ალ. ასათიანის ნაწერი

**მიწის საკითხი საქართველოში**

წინასწარი დაკვეთა შეიძლება „საქართველოს“ რედაქციაში. (10—2)

ნაფიცი ვექილი

**დ. გ. კვირკველია**

გადმოვიდა თბილისს (გრიბოედოვის ქუჩა, 16). 10—2

**იყიდება** ხელ მისაწვდენ ფასებში. ღვინით სავაჭრო დაწესებულება.

ღვინით და თავის საჭირო ავეჯეულით, რომელშიაც უკვე სწარმოებს მშვენიერი ვაჭრობა. პირობების გაგება შეიძლება მიხაილოვის ქუჩა № 98. სასტუმრო „ოლიმპის“ კანტორაში 8—6 საათ.

## ქ. უფის „სახელმწიფო თათბირის“ გამო!

რუსეთის „გამოფხიზლებაზე“ ამ ბოლო დროს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ და უმეტეს ისინი, ვინც ოცნებობს იხილოს ძველი დიდ-მპყრობელი, ან თვით-მპყრობელი რუსეთი, რასაკვირველია, მთელი იმ შედეგებით, რომელიც ამ პროცესს თანა სდევს თვით-გამორკვეულ კუთხეებისა და ერთათვის.

ბოლშევიზმის გამხრწნელსა და დამღუპველ „ბუნტისაგან“ თავის დახწევას რუსეთს ყოველი რიგიანი ადამიანი ურჩევს, რადგანაც სასურველია, რომ მთელს კულტურულ კაცობრიობასთან ასე თუ ისე დაკავშირებულს სახელმწიფოში ბოლოს და ბოლოს დამყარდეს წესიერება და უფლებრივი შეგნება.

ჩვენა გვსურს, რუსეთი აღსდგეს სახელმწიფოებრივად, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევურიგდებით იმას, რომ მისი აღდგენა იყოს დასაწყისი განთავისუფლებულ ხალხთა დამოუკიდებლობის აღსასრულისა.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: არ მოიძებნება ყოფილ რუსეთის იმპერიის საზღვრებში არც ერთი ჯგუფი, ან მიმართულება, რომელსაც აზრად დაუსახავს რუსეთის აღორძინება და ამავე დროს არ წარმოედგინოს ეს აღორძინება, როგორც დამკვიდრება Status quo in ante-სი, ყოველს შემთხვევაში ტერიტორიის მხრივ. ამაში სრული ერთსულოვნობა სუფევს მთელს რუსობაში განურჩევლად მიმართულებისა და რწმენისა: სოციალისტი, თუ არა-სოციალისტი, რესპუბლიკანელი, თუ მონარქისტი, ცენტრალისტი, თუ ფედერალისტი—ყველანი დიდი რუსეთის აღდგენაზე ჰფიქრობენ, თუნდაც რომ მისი აღდგენა სხვადა დამაობას ჰგულისხმობდეს.

ჯერ ხნობით ოფიციალურად მმართველობა რუსეთში ბოლშევიკების სახალხო საბჭოს კომისრების ხელშია, ამიტომ ცენტრალური რუსეთი გარეგნულად ლოიალურ პოზიციას იჭერს საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში და რესტავრაციის მიდრეკილებას არ იზიარებს. კერძოდ, საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურმა რუსეთმა დაადასტურა შესაფერისი აქტით, ასე რომ ჩვენი სახელმწიფოს სუვერენობას პირდაპირი საფრთხე არ მოელის ჩრდილოეთიდან. მიუხედავად ამისა, ჩვენ მოვალენი ვართ ქართველი საზოგადოების ყურადღება მივაპყრათ არა-ოფიციალურ რუსეთის აზრსაც. ცხოვრება ცვალებადია, პოლიტიკური კომბინაციები საოცარი სისწრაფით იცვლება და ვინ უწყის ახლო მომავალში რომელი სოციალ-პოლიტიკური ელემენტი მოექცევა ამბოხებულ სახელმწიფოს სათავეში.

ბოლშევიკურ რუსეთთან საბრძოლველად და, მაშასადამე, ძველი რუსეთის აღსადგენად მცირეოდენი „ცვლილებით“ ენერგიულად ემზადებიან რუსეთის პერიფერიებში და უმთავრესად მის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში. ქალაქი უფა რუსულ გეოგრაფიის სახელმძღვანელოებში რომ ნაჩვენებია ყველაზე ულარიბეს და უმნიშვნელო ქალაქად, დღეს დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ ცენტრად ითვლება: იქ საფუძველი ეყრება ახალ რუსეთს, მახვილ ამოღებულს განდგომილ კუთხეების წინააღმდეგ! იქვე ემზადებიან ბოლშევიკებთან საბრძოლველად, რადგანაც უკანასკნელთა გამგებლობა სანქციას აძლევს თვითგამორკვეულ ხალხს და ხელს უწყობს დიდი რუსეთის დაშლა-დანაწილებას. ამ პატარა მივარდნილ და მივიწყებულ ქალაქში შეკრებილია „სახელმწიფო თათბირი“, წარმოდგენილი რუსეთში მომქმედ ყველა რევოლუციურ და ლიბერალურ პარტიებისაგან, გარდა ბოლშევიკებისა. „თათბირის“ ხელმძღვანელად და სულის ჩამდგმელებად სოციალისტ-რევოლუციონერები არიან და მათ მიერ შეტანილი თეზისები და დებულებანი „სათათბიროში“, როგორც დეპეშა გვაუწყებს, „თითქმის მთლიანად და უცვლელად გადის“.

სოციალისტ - რევოლუციონერების კარნახით „თათბირმა“, სხვათა-შორის, მიიღო შემდეგი დებულება: „რუსეთის მთავრობის მიზანს შეადგენს **შემოერთება ჩამოშორებულ და განდგომილ დარბეულ რუსეთის ოლქებისა ფედერატიულ კავშირის საფუძველზე**“. რაც შეეხება მცირე ერთა პოლიტიკურ ცხოვრების მოწესრი-

გებას, სათათბიროს დადგენილების ძალით, მათ მიენიჭებათ პერსონალურ-ტერიტორიული ავტონომია.

ცხადია, ასე კატეგორიულად და მკაფიოდ გამოთქმულ გარდაწყვეტილებას „სახელმწიფო თათბირის" მონაწილენი, უკეთუ ბედმა მათ რუსეთის გამგებლობა არგუნა, არ დაიყოვნებენ განახორციელონ ყოველივე საშუალებით. მოსალოდნელი იქნება, საფიქრებელია, ძალდატანებაც, ვინაიდან განმეორებითი „უნიას" წინაღუდგება მრავალ სახელმწიფოებრივად ჩამოყალიბებული ერი და, მათ შორის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაც.

ძალმომრეობაზე აგებული რუსეთის ბატონობა საქართველომ იმიტომ კი არ ჩამოიშორა, რომ კვლავ ადვილად დაუბრუნდეს ძველს მპყრობელს წიაღში. ჩვენი თვითმყოფობა დაფუძნებულია ტრაქტატებზე, საერთაშორისო მნიშვნელობისა და ვალდებულების აქტებზე, და საქართველოს ხალხისა და დემოკრატიის შეურყეველ ნებისყოფაზე, რასაც ანგარიშს, ალბად, გაუწევენ ახალი ფორმაციის იმპერიალისტები...

ძველ ყაიდაზე შედგენილ პროგრამით, საეჭვოა, სასიცოცხლო ენერგია მიეცეს განრღვეულ სახელმწიფოს. რუსეთის გამოცოცხლების მოსურნენი უნდა ახალს ჰუმანიურსა და ხალხოსნურ მეთოდებს მიჰმართონ, რომ რუსის ერის პოლიტიკურად მამოძრავებელი იდეა განმორებული იყოს ძალადობისა და მოშორნეობის განზრახვებს. წარსულის გაკვეთილებმა და უახლოესი დროის მწარე გამოცდილებამ ნუ თუ არაფერი შეჰმატა რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელებს, რომ ამ ქამადაც აშკარა ავანტიურის გზას არ ერიდებიან!?

საქართველოს ხალხს არ აშინებს რუსების იმპერიალისტების იარაღის ჟღარუნი. იგი დინჯად განაგრძობს ახალგაზრდა რესპუბლიკის აღშენებას და ფართო მასსაში მის საჭიროებისა და აუცილებლობის განმტკიცებას იმ იმედით, რომ ერის მიერ შეთვისებულ დამოუკიდებლობას თვით „ბქენი ჯოჯოხეთისანი" ვერ სძლევენ.

რ. ინგილო.

## ზავის ლანდები

უსაზღვრო ოკეანეში დაკარგულ ადამიანს ღრუბლის ნაფლეთი ან შავი წერტილი მშველელ ხომალდად ეჩვენება ხოლმე, წყურვილით დატანჯულს და იმედ მილეულს ათასნაირი მირაჟი ელანდება. ციდან ანგელოზები ჩამოდიან მის გადასარჩენად, აგერ გემიც მოდის და მოაქვს მისთვის შველა, საჭმელი და... წყალი. იგი ავად არის: ჰბოდავს, ოცნებობს და ლანდებით დატანჯული ლევს წამებულ სულს.

ასეთ დღეში ჩავარდა კაცობრიობაც. იგი დაიტანჯა ზავის წყურვილით. 4 წელიწადი იკვებება ლანდებით და დატანჯული მშვიდობის მოლოდინში, მაგრამ ებღაუჭება შორეულ მოჩვენებას და ადვილად მისდევს ყოველნაირ ქიმერას. მას ლანდი ცოცხალ სხეულად მიაჩნია და სიზმარი—უცილობელ ფაქტად.

მისი გადაჯერება ყოვლად შეუძლებელია.

ასეთი ლანდი ზავისა ოთხ წელიწადში ბევრი ვნახეთ, მაგრამ ასეთ ლანდებს ყოველთვის მხოლოდ ბრძოლის გახურება მოსდევდა, თუმცა ხალხის გულში ოდნავაც არ შერყეულა იმედი ზავის მოახლოვებისა. ასეთია ადამიანის ბუნება: მას ტკბილი სიზმარი ურჩევნია მწარე სინამდვილეს.

ეხლა კიდევ ერთი ზავის ლანდი გამოჩნდა. გერმანიაში პარლამენტარიზმი დამყარდა. ახალმა მთავრობამ მიიღო ვილსონის პირობები. კაცობრიობას სიხარულის ჟრუანტელმა დაუარა, მაგრამ, მგონია სიხარული ნაადრევია. უკვე გამოირკვა, რომ ვილსონის ზავი მიუღებელია თვითონ ვილსონისთვის. მოპირდაპირემ მოითხოვა ავსტრო-გერმანელთა ჯარების დაბრუნება ძველ საზღვრებზე და უარჰყო დროებითი მორიგება. ეს უდრის იარაღის დაყრას, მაგრამ გერმანიამ ეს პირობაც რომ მიიღოს, მერე მტერი მოსთხოვს ელზას-ლორენის დაცლას, მერე რეინზე გადასვლას და ბოლოს—საშინელ კონტრიბუციას, კრუპის ქარხნების დანგრევას, იარაღის აყრას და იმპერიის დაშლას. აი ცხადი მიზანი ინგლის-ამერიკისა და საფრანგეთისა. ავსტრია-გერმანიის ნანგრევებზე ოციოდე უიარაღო სახელმწიფოს შექმნა—აი იდეალი ინგლის-ამერიკისა და საფრანგეთისა, ვინაიდან მხოლოდ ეს დაუბრუნებს დაქვეითებულ საფრანგეთს პირველობას კონტინენტალურ ევროპაში, ხოლო ანგლო-საქსონებს ხელფეხს გაუხსნის ჩინეთ-იაპონიასთან აუცილებელ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. კოალიციას არ შეუძლიან შუა გზაზე გაჩერება. მათ ეხლავე უნდა ჩამოაცილონ იაპონიას მისი მომავალი ბუნებრივი მოკავშირენი, ამიტომ ომი თავის ლოღიკურ დასკვნამდის უნდა მივიდეს და ერთ-ერთის სრულ დამარცხებით უნდა გათავდეს. ამ მოსაზრებათა გამო დაუჯერებელია ეხლა დაშლა მსოფლიო [illegible] ვანძისა, რომელიც—ერთი ფონისა არ იყოს—მხოლოდ ერთ ალაგას ახრჩობს ყოველნაირ ზავს. ამბობენ თანამედროვე ომი მეტს ვერ გასტანს, რადგან მეომრები საცაა ეკონომიურად გაკოტრდებიანო. ომამდის მთელი ქვეყანა გაიძახოდა, ეს ომი ექვს თვეზე მეტს ვერ გასძლებსო, მაგრამ მან ცხრაჯერ მეტი გასტანა და მებრძოლნი ეხლაც 30 მილიონამდე მეომარს ინახავენ. თუ ასი და ორასი წლის წინად ათჯერ და ასჯერ უფრო ღატაკმა ევროპამ გაუძლო შვიდი წლისა და ოცდაათი წლის ომებს, რატომ ეხლანდელი ომი ვერ გასტანს ამდენივე ხანს ან ორჯერ მეტსაც? იგი შეიძლება დახურდავდეს, დაილიოს და 30 მილიონის ნაცვლად ბრძოლის ველზე დარჩეს გაცილებით ნაკლები, მაგრამ ომი მაინც გაგრძელდეს. ასი წლის წინად ნაპოლეონსა და მის მოპირდაპირეთ რამდენიმე ასი ათასი კაცი ჰყავდათ, მაგრამ იმ ომმა ოცი წელიწადი გასტანა, თუმცა არც მაშინ და არც არასოდეს არ ყოფილა ინტერესთა კვანძი ისე გახლართული, როგორც გაიხლართა დღევანდელ ომში, რომელსაც სისხლის მორევში აღარც თავი უჩანს და აღარც ბოლო. იგი შეიძლება დროებით შესწყდეს, მაგრამ მალე ისევ იფეთქებს.

მაგრამ ზავის ლანდებით გატაცებული ხალხი სხვა მხრიდან ელის მშვიდობას. ოთხი წლის ჟრიამულითა და საოცარი ქინიან პროპაგანდით დავარწმუნეთ ჩვენი თავი და ხალხიც, ვითომ ზავის შეკვრა მხოლოდ დემოკრატიას შეუძლიან. ამ ფორმულას ყველა თუთიყუშივით იმეორებს და ბავშურის სიკერპით თვალს ჰხუჭავს წინაშე გუშინდელ მაგალითისა. ჩვენ თვალწინ დაინგრა დემოკრატიულ ზავის ამყოლი რუსეთი. მან ზავი ვერ მოიპოვა, ხოლო ნაცვლად ერთი ფრონტისა რამდენიმე ფრონტი გაიჩინა შინ და გარეთ.

რუსეთის დემოკრატიამ ყური გამოუჭედა მთელს ქვეყანას ყალბი ლოზუნგებით და იმ სიყალბეს თვისი არსებობა შესწირა. ასე ძვირად უჯდება ხალხს თავის მოტყუება და ცხოვრების ძირითადი კანონების დავიწყება. მსოფლიო სიყალბეა იმის თქმა ვითომ ომობდეს მხოლოდ გაბატონებული კლასი—ბურჟუაზია, ამიტომ მას არ შეუძლიან მოპირდაპირეს შეურიგდეს. კლასები კი არ ომობენ, არამედ ერნი, სახელმწიფონი და ტომები, ხოლო ომის დროს სახელმწიფო ფორმის შეცვლა და ახალი მთავრობის ჩაყენება მხოლოდ ახალი იარაღია. ეს არის გამოცვლა ფორმისა და დროშისა, ხოლო შინაარსი ისევ ძველი რჩება: ომი ბოლომდის ტომთა შორის. მართებლობის გადასვლა მემარცხენეთა ხელში მოასწავებს შინაურ ბრძოლის გაღვივებას, რასაც აუცილებლად მოსდევს სრული გამართჯვება ლენინისა, რომლის ჩხავილი და დემონიური ხითხითი თანდათან უფრო მძლავრად ისმის დრომოჭმულ ევროპაში. მას ვერ გააჩუმებს ათი-ათასი ზარბაზნის გრიალი. პირიქით, გადარეული ევროპა ამ ზარბაზნებით ანგრევს თავის-თავს და გზას უკაფავს სოციალიზმს, რომელიც ცეცხლის ეტლით დაივლის გაჩანაგებულ ქვეყანას და მის ნანგრევებზე ცეცხლითა და მახვილით აშენებს ახალს სამეფლობელოს.

ამბობენ, ევროპა მოსკოვი არ არისო. არც ეს არის მართალი. ძირითადი კანონები ხალხთა განვითარებისა, და მოძრაობისა ყველგან ერთნაირი არიან. განსხვავება ლენინიზმისა და ფრანგულ სინდიკალიზმის შორის მხოლოდ გარეგნულია, შინაარსი კი ერთი და იგივეა.

ევროპა თავის თავსა სჭამს. მისი გაჩერება არავის შეუძლიან. პროცესი მისი შინაურ ევოლუციისა ძალიანა ჰგავს ოთურმას. წაბორძიკებულ მოწინავეს კისერზე აჯდება მეორე მემარცხენე ჯგუფი, მეორეს-მესამე, მესამეს-მეოთხე, ხოლო ყველაზე ზევით უნდა წამოსკუპდეს ლენინი, რომელსაც ერთ ხელში ცეცხლის მაშხალა ექნება და მეორეში—სისხლით შეღებილი წითელი დროშა. აი სურათი ხვალინდელ ევროპისა. იგი გაღატაკდება, დაიწვება, გაველურდება და გაჩანაგდება, მაგრამ ერთხელ ანთებულ ცეცხლს ასე ადვილად ვერ ჩააქრობს.

მსოფლიო კულტურის ცენტრი ევროპიდან უკვე გადადის დიდი ოკეანეს ნაპირებზე.

დაბერებული ევროპა კვდება.

იბადება ახალი და ძლიერი ადამიანი, რომელსაც ერთი ფეხი ამერიკაზე უბჯენია, ხოლო მეორე—ყვითელკანიან აზიაზე.

მ. ადამაშვილი.

## რუსი ესერები და საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოში ძალიან ბევრი უწერიათ და უფრო მეტი უთქვამთ იმ გამცემი პოლიტიკის შესახებ, რომელსაც აწარმოებენ აქ უცხოელი პარტიები.

მათი მოქმედება აშკარად სწარმოებს საქართველოს დამოუკიდებლობასთან ბრძოლის დროშის ქვეშ და სხვა და სხვა დემოკრატიულ და სოციალისტურ ტანთსახვევში სამართლიანობის და, ინტერნაციონალურის ლოზუნგით ჩვენს საწინააღმდეგო აგიტაციას ეწევიან.

ქალაქის საბჭო, გაზეთები, პარტიული კრებები გაშლილი სარბიელია მათი მოღვაწეობისათვის. ჩვენ კი... სძულებული ვართ თვალ-ღია ვუცქიროთ ამ ჩვენს წინაამდეგ დარაზმულობას, რადგან ჩვენს სახელმწიფოს აქვს დემოკრატიული ეტიკეტი, რომელიც, თურმე—

თავისუფლებას ანიჭებს ყოველ აზრსა და მოქმედებას.

იმ საერთო ჯირითში, რომელშიაც ჩაბმულნი არიან თითქმის ყველა რუსული პარტიები, ყველაზედ მომქმედნი სოც.-რევოლუციონერები არიან.

საქართველოდან წასულ რუსის ეშელონებს, რომელნიც გზათ ყველაფერს არბევდენ, ჩამორჩა ეს ჯგუფი და შეუდგა სასტიკ წინააღმდეგობას საქართველოს თავისუფალ მოქმედებაში.

ჯერ ამიერკავკასიის სეიმში და შემდეგ თავის გაზეთებში, რომელნიც რამოდენიმეჯერ დაიხურა კიდეც, ის არ მალავდა ჩვენდამი მტრულ განწყობილებას, ხოლო როდესაც მათმა მოქმედებამ მიაღწია იმ წერტილს, რომელიც ჩვენს სოციალისტურ მთავრობასაც აღარ შეეძლო მოეთმინა, მათ განაცხადეს ოფიციალური ლოიალობა და თავის წევრებს საქართველოს პარლამენტში შესვლის უფლებაც კი მისცეს.

ჩვენმა მთავრობამ უთუოდ დაუჯერა მათს განცხადებას, რადგან მათი გაზეთი უკვე დაუბრკოლებლად გამოდის და ქალაქში მათი საჯარო კრებებიც ნებადართულია.

და არამც თუ ნებადართულია, სოციალდემოკრატიული „ბორბა" მომავალში მათთან შეთანხმებულ მუშაობასაც კი გვპირდება.

მაგრამ როგორია მათი ლოიალობა?

ჩვენს რედაქციას მოუვიდა ეკატერინოდარის გაზეთი „Родная Земля", სადაც მოთავსებულია თბილისის „სოვდეპიის" დროში კარგად ცნობილის ესერების პარტიის აქაურ ლიდერის ნ. ბერიოზოვის წერილი.

ბ-ნი ბერიოზოვი აღშფოთებულია სოჭის სოც.-რევ. რეზოლუციით, სოჭის ოლქის საქართველოსთან შეერთების შესახებ და მრისხანედ მიმართავს მათ:

„ნუ თუ სოჭის სოც. რევოლ. არ იციან, რომ ამიერკავკასიის სოც. რევ. საოლქო კომიტეტი სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა და **აწარმოებს** ჯერ ამიერკავკასიისა და შემდეგ საქართველოს რუსეთისაგან ჩამოშორების წინააღმდეგ?"

აქაურ ესერებს შეუძლიანთ სთქვან, რომ ეს იყო უწინ და ეხლა ეს აღარ არის!

ამაზედ ჩვენზედ უფრო მეტყველად თვით მათს ბელადს ვათქმევიოთ:

„ამ. კავკ. საოლქო კომიტეტი ეხლაც განაგრძობს ამ მოქმედებას, ამხელს ქართული ს. დემ. დამღუპველ პოლიტიკას და მოუწოდებს ამიერკავკასიის დემოკრატიას შეუერთდეს რუსეთს და აღადგინოს იგი".

აი პოლიტიკა აქაური ესერების; ნუ თუ ამის შემდეგ იგი საეჭვო უნდა იყოს ვისმესთვის?

სხვანაირად მოქმედება მათ არც შეუძლიათ, რადგან სრულიად რუსეთის ესერების მე-8 ყრილობაზედ მიღებული რეზოლუცია სასტიკად ავალებს მათ იბრძოლონ იმ ელემენტებთან, რომელთაც რუსეთისაგან დაშორება სწადიათ.

მათ შეუძლიანთ ამის შემდეგ კიდევ განაცხადონ ოფიციალური ლოიალობა, მაგრამ უარყოფა მათის ლიდერის განცხადებისა და საყრილობო პარტიულ დადგენილებათა ხომ არ შეიძლება?

ამის შემდეგ ამ პარტიის „ობლასტნოი კომიტეტის" ვამცემი მოქმედება ყველასთვის ნათელია და მთავრობა ვალდებულია მიიღოს მათს წინააღმდეგ უსასტიკესი ზომები.

მაგრამ ამასთან ისმება მეორე საკითხიც:

ამ კომიტეტის ორი წევრი, თარხანოვი და თუმანოვი, რომელნიც არანაკლებ არიან ცნობილნი, როგორც მებრძოლნი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, სომეხ „დაშნაკცაკანების" ფირმით შემობრძანდნენ საქართველოს პარლამენტში.

ამ პირების მანდატები ჯერ, გვგონია, არ განუხილავთ და თუ დროზედ არ მიექცა მათ ყურადღება, შეიძლება მათი „აღმშენებელი" მუშაობა ჩვენს საკანონმდებლო დაწესებულებაში ძალიან სავალალო გამოდგეს საქართველოსთვის...

ლ. ჯაფარიძე.

## რევოლუციის პათოსი

რა იყო რუსეთის რევოლუცია, რაში იყო მისი პათოსი?

ანთებული ცეცხლი ჯერ კიდევ არ დამქრალა და მომავალი უფრო მძიმდება ფანტასმაგორიით და კოშმარებით. გადამწვარ რუსეთის ველებიდან თოვლიან კვამლში იხედება საბედისწერო სახე ლენინის, რომელმაც მოგრიხა გაფრენილი ხელით რუსეთის ბედი და მოაწყო ჭინკების კარნავალი. როგორც წელ-გაწყვეტილი ჭია, ისე მოძრაობს დღეს რუსეთი მოწყვეტილი ნაწილებით და რესპუბლიკების კუზებით. ტანჯვის ავხორცობით ითება მისი სახე და ჩამონგრეულ ცას შეჰყურებენ ახალი ჩვენებისთვის.

ოქტომბრის წლის თავია—როცა პირველათ ამოვარდა ქარიშხალი პეტერბურგის კუნძულებიდან, რევოლუცია აქედან დაიწყო. მართალი იყო ლენინი, რომელმაც იგრძნო ეს პათოსი ახალი. არის რუსეთის რევოლუცია პრელიუდიები მომავალი და უკანასკნელი რევოლუციათა ორატორიების, თუ ის დაიხრჩობა თავის საზღვრებში!..

ქვეყანა გაქანებული უახლოვდება ახალ კატასტროფას, ამის მოლოდინშია დღეს პოეზია და ამაზე მეტყველებს რევოლუცია.

რუსეთის რევოლუციას თავიდან დაჰყვენ ქართველი კონდოტიერები, რომელნიც ფიქრობდენ მართლა, რომ შეჰქმნეს რევოლუცია—მაგრამ მათი სიფხიზლე მალე არ ეყო ამოვარდნილ გრიგალს და პირველი ისინი მოიშორა თავიდან.

ეს მაშინ იყო, როცა პლომბიან მატარებელით გერმანიიდან ჩამოვიდა ლენინი თავის ამხანაგებით... მისი მოსვლა ჰგავდა აპოკალიპსის ცეცხლიან

## ახალი პერსპექტივები

მსოფლიო ომის მსვლელობამ გარდატეხის წერტილს მიაღწია. ომიანობით გამოწვეულმა ხალხთა ამოძრავებამ წარმოშვა ფართო მასსაში დიდი თვითშეგნება და ხელი შეუწყო თავისი ძალების მნიშვნელობის გმოვლინებას სახელმწიფოსთვის. ბუნებრივია, რომ პირველად ხალხის, ანუ დემოკრატიის აგეთი გამოფხიზლება, სახელმწიფოში მისი მნიშვნელობის და შესაფერი უფლებრივი გავლენის მოსაპოვებლად ამოძრავება, საზოგადოებრივობის მხრივ, უფლებრივად ყველაზე ნაკლებად განვითარებულსა და ჩამორჩენილ რუსეთში მოხდა. აგეთმა მოძრაობამ აქ უკიდურესობის უმწვერვალესობას მიაღწია. ეხლა ხალხის სულის კვეთება, სულიერი განწყობილება აშკარად მარჯვნივ იხრის, რადგან ბევრი განიცადა ბოლშევიზმის ექსპერიმენტების წყალობით. უფლებრივად გაცილებით უფრო დაწინაურებულს პრუსია-გერმანიაში ამგვარი ექსპერიმენტები ზედმეტი იქნება და შეუძლებელია ბოლშევიკურს ბრძოლაში გამობრძმედილ გერმანულ ხალხისათვის. ხალხოსნურ მოძრაობას იქ სრულიად ბუნებრივად გაცილებით ნაკლები ამპლიტუდა ექნება და სახელმწიფოებრიობის ძირითად ელემენტებს არავითარი რყევა არ მოელის. ამ ომიანობამ სხვა და სხვა სახეობით, მაგრამ ყველგან ერთგვარის სიძლიერით გაატარა ხალხოსნური პრინციპი, კაპიტალისტური განვითარებით ძალზე მომწიფებულმა დემოკრატიზმმა ომიანობით ჰპოვა სრული თვისი მნიშვნელობისა და ძლიერების გაშლის საშუალება. ომმა დააჩქარა ნელი პროცესი მშვიდობიან განვითარებისა.

მაგრამ სახალხო მოძრაობამ, დემოკრატიზმის განმტკიცებამ რუსეთსა და გერმანიაში ერთგვარის მიზეზ-შედეგობრივის აუცილებლობით წარმოშვა ერის მტრის პირის-პირ დასუსტება, ომის წაგება. ეს პროცესი განმეორდა აქამომდე გამარჯვებულის დაფნის გვირგვინით შემკულ გერმანიაშიაც. მაშინ როდესაც ისტორია სწორედ წინაამდეგის მაჩვენებელია, თუნდაც საფრანგეთის რევოლუციონურ ჯარის გამარჯვებანი ავიღოთ მაგალითად. მეორეს მხრივ ეგ პირველი მარცხი გერმანიისა თვისი მნიშვნელობით და შედეგებით სრულიად განირჩევა რუსეთის მარცხიდან. რუსეთი იმ თავიდანვე დამარცხებული იყო და მარცხს, როგორც ფაქტს, რუსის ხალხი უკვე ადრევე შეურიგდა, მან ეს სირცხვილი მემკვიდრეობის სიადვილით აიტანა. სულ სხვაა გერმანიაში. დემოკრატიული ელემენტი გერმანიისა, ვერ აიტანს, რომ სახელმწიფოს გადემოკრატება მიზეზ-შედეგობრივად დაუკავშირდეს სახელმწიფოს დამარცხებას-უბედურებას, რადგან სრულიად მართალია ჰინდენბურგი, როდესაც თავის სიტყვაში გერმანელ ხალხისადმი, უკან დახევის მიზეზად სულიერ განწყობილების შეცვლას ასახელებს და დაიმედებული ამბობს, ვერც ორცხვით, ვერც ტეხნიკით ჩვენ მტრები ვერ დაგვძლევენო. ეს კარგად ესმის გერმანიის რეიხსტაგის მარცხენა ფრთასაც, და ომიანობით დაღლილ ერთა შემარიგებელი საშუალება, პირველად დიპლომატიურის მოხერხებით ვილსონის მიერ მომარჯვებული იარაღი იხმარა: თანხმობა განაცხადა ვილსონის 14 პუნქტზე, რომელიც წინ უსწრებდა მოკავშირეთა გამარჯვებას ბრძოლის ველზე. ამით ზნეობრივი კმაყოფილების პირობები შექმნა თვით გერმანელ ხალხში, რომელიც დარწმუნდა, რომ მის მთავრობას ნამდვილად ჰსურს ზავი და მზადაა, მიიღოს თვით მოწინააღმდეგის მიერ აღიარებული საზავო დებულებანი და რომლის შეგნებაში ზავი რასაკვირველია, გერმანიის არსებობასთანაა დაკავშირებული; მეორეს მხრივ კი, შეუძლებელია მოკავშირეთა სულიერი განწყობილება არ შეცვლილიყოს მოულოდნელ გამარჯვების შემდეგ და ეხლა მტრის აგრე ნებაზე დაყოლის შემდეგ იმ 14 პუნქტის სტადიაში შეჩერდეს? გამარჯვებით გატაცებული ფოში ვერ ისვენებს, ჰსურს თვით გერმანიაში შეიჭრას. მოკავშირენი იმედოვნებენ, რომ გერმანიაში დაქანცულობის გამო ომის განგრძობას ველარ შესძლებენ. მოკავშირენი ისეთ პირობებში არიან ეხლა—რომ ილუზიას ადვილად მიეცემიან. საზოგადოებრივი აზრი, მათი პრესა უკვე უპირობო კაპიტულაციას მოითხოვს.

სწორედ ის გარემოება, რომ გერმანიამ მოკავშირეთა გამარჯვების დასაწყისშივე განაცხადა ზავზე თანხმობა, ჰბადებს შესაძლებლობას, რომ მოკავშირენი იმ 14 პუნქტს არ იკმარებენ და ახალს პირობებს წამოაყენებენ ან და, რაც უფრო მოსალოდნელია, იმავე 14 პუნქტებს გერმანიისათვის მძიმე განმარტებას მისცემენ. აქედან მიუცილებელია გერმანელთა აღტყინება, ახალი თავგანწირული და შმაგი გატაცება თავდაცვის ომის გაგრძობისათვის.

სრულის რწმენით უნდა ველოდეთ, რომ ომი არ გათავდება ამ უკანასკნელი ნაბიჯებით, ომიანობა შედის მხოლოდ უუმწვავესსა და უუმძაფრესს ხანაში, როდესაც გერმანელობამ ხელახლავ უნდა დაუმტკიცოს ქვეყნიერებას, რომ მას ძალუძს თავისი თავის მამაცურად დაცვა.

ომის განგრძობა კი გულისხმობს ომიანობაში მონაწილე სახელმწიფოთა ახალს გადაჯგუფებას. ბულგარეთი, გეოგრაფიული მდებარეობით მიუცილებელი კარი-ბჭე ოსმალეთისა და აზიისაკენ, გერმანიას უყურადღებოდ არ დარჩება. მას გაახსენებენ, რომ ის მოსაზღვრეა რუმინეთისა, რომლიდგანაც მას თავის დროზე შეეძლო ჭკუა ესწავლა. გადემოკრატება გერმანეთში ერთის მხრივ და ზავის უარყოფა მოკავშირეთა მიერ მეორეს მხრივ წარმოშობს ახალს შესაძლებლობას გერმანია-რუსეთის უფრო მჭიდრო დაახლოვებისათვის და თუ რუსეთში ოდნავ მაინც შესაძლო გახდა უფლებრივ სახელმწიფოს აღდგენა გერმანულის ორიენტაციით,—რაც ყოველ შემთხვევაში სინამდვილესაგან შორს დაშორებული არ უნდა იყოს—გერმანია მას მხოლოდ ხელს შეუწყობს და შესაძლოა ბევრიც დაუთმოს. საქმე იმაშია მხოლოდ, თუ რამდენად შეიძლება რუსეთის მილიტარულად გამოყენება.

თუ აქ ერთგვარი კითხვითი ნიშანი დაისმის, სამაგიეროდ მეტი გარკვეულობაა იაპონიის მდგომარეობაში, რომელიც უსათუოდ დაქვეითდება ამერიკის ძლევა-მოსილობითა და გამარჯვებებით, რაგინდა დიდი ტერიტორიული ერთეულები არ შეიძინოს დასავლეთში. იაპონიის ელემენტი ეს ზღვაა და აქ ამერიკისა თუ ინგლისის გაბატონება დიდი ხიფათია მისთვის. ცხადია, იაპონია ვერ დარჩება მაყურებლის როლში, როდესაც იმარჯვებს და კიდევ ჰეგემონიას ესწრაფის ამერიკა-ინგლისი, ორთავე ის ქვეყნები, რომელთა ეკონომიური დამოკიდებულებისაგან იაპონიამ მარჯვედ დაიხსნა თავი და რომელთაც იგი სასტიკ კონკურენციას უწევს მსოფლიო ბაზარზე სხვა და სხვა სამრეწველო დარგებში, რომელთაგან ზოგიერთში მას უკვე პირველობაც დარჩა. ომის შემდეგ კი იაპონიის ქარხნებს არ დაჭირდებოდა სამშვიდობო მუშაობისათვის ახლათ გადაკეთება, რადგან სამხედრო მიზნებისათვის ეს ქარხნები ჯერ არავის შეუცვლია.

უკვე ეს გარემოება დიდი უპირატესობა იყო იაპონიის საგარეო ვაჭრობა-მოეჭველობისათვის. მაგრამ ეს გარემოება ადვილათ დაიძლევა გამარჯვებით გალაღებულ ამერიკის ძლევამოსილებით. ადვილი მოსალოდნელია, რომ იაპონიამ ძირს დაშვებული მახვილი ისევ მაიმარჯვოს. თუ კი იაპონია ერთხელ ჩაერია ომში თვისი შენახული ძალებით და აგრეთვე მოხდენილ მდგომარეობით ამერიკის ზურგს უკან, ის შესამჩნევ როლს ითამაშებს ომიანობის სწრაფ ლიკვიდაციაში. ამის გამო ის თავიდანვე დიდ დათმობას მოითხოვს მომავალ მოკავშირესაგან.

ჩვენც შეგვეძლო გვესარგებლნა ეხლანდელ სიტუაციით. ოსმალებს ამიერ-კავკასიიდან ჯარების ნაწილი უკვე გაჰყავს სამხრეთსა და დასავლეთ ფრონტზე მისაშველებლად. აღერბეიჯანს კი ჯარი თითქმის არა ჰყავს. მაშინ, როდესაც ბაქო, როგორც მდიდარი ქალაქი განსაცდელში შეიძლება ჩავარდეს ავანტიურულ ბრბოების თარეშისაგან. მთელ ამიერ-კავკასიის და თვით ოსმალეთის ინტერესია, რომ ბაქო დაცულ იქნეს ყოველ შესაძლებლობისაგან. ჩვენ რომ შესაფერათ მომზადილი ვიყოთ, ადვილათ შეგვეძლო სხვათა თანხმობით ბაქოში მშვიდობიანობის დაცვა გვეკისრნა და სამაგიეროდ იმდენი ნავთი მიგვეღო რამდენიც საჭიროა ჩვენთვის. ამ პირობებში შეუძლებელი გახდებოდა ლაპარაკიც კი იმის შესახებ, რომ ნავთის მაგიერ ჩვენ სხვებს ჩვენს ქვეყანაზე ტრანზიტის უფლება დავუთმოთ და ამ საზარალო დათმობით ჩვენი საზღვრები ყველას გავუხსნათ უცხოეთთან ჩვენს ხარჯზე ეკონომიური დამოკიდებულების გასაჩარხად. გარდამწყვეტი მნიშნელობის იქნებოდა მთელი ჩვენი მერმისათვის, რომ მზათ გვყავდეს საკმაო ჯარი ჩვენი საზღვრების გასაძლერებლად, როგორც სამხრეთით ისე ჩრდილოეთით. ჩვენ მოვითხოვდით დიპლომატიურის გზით ბათომის ოლქში მომხდარ რეფერენდუმის გადახედვას და ახალ-ციხე ახალ-ქალაქის საბოლოო დაცლას. ჩვენ შევსძლებდით ჯიქეთის საბადოთ დაბრუნებას და მით გავასწორებდით სამოციან წლების უადამიანო უსამართლობას, რომელითაც იძულებულ იყო იქაური ჩვენი მოძმენი სხვაგან გადასახლებულიყო. ერთის სიტყვით, ეხლანდელი მომენტი ყოველის მხრივ ხელისშემწყობია ჩვენთვის, რომ მოვახდინოთ ჩვენი სახელმწიფოს ბუნებრივ საზღვრების კონსოლიდაცია და ეკონომიურ განვითრება უზრუნველ ვყოთ ხანგრძლივი მშვიდობიანობით. ამისათვის სულ მცირე რამ იყო საჭირო: **მზათ ყოფნა.**

საქართველოს ყველა მოძრავი ძალები, ინტელიგენტური და მატერიალური უნდა გაერთიანდეს სახელმწიფოს ლაჟვარდოვან მომავლის უზრუნველ საყოფათ.

ყოველი ჩვენგანი ვალდებულია მზათ იყოს, რომ მოვალეობა შეასრულოს თავის სამშობლოსა და ერის წინაშე.

უწინარეს ყოვლისა მთავრობა ვალდებულია დაიახლოვოს და ითანამშრომლოს ყველა საზოგადოებრივ კატეგორიათა წარმომადგენლები, რომ ერთობლივის მძაფრი შრომით განსახიერდეს ერის მტკიცე ნების ყოფა, რომელიც გადამწყვეტს წუთს საკმაო ძლიერი აღმოჩნდება, რომ ჩვენ ხალხსა და სახელმწიფოს შესაფერი ადგილი მოუპოვოს ერთა ოჯახში.

ჩვენ ისტორიულს ხანაში უნდა ავამოძრაოთ ყოველი უჯრედი ჩვენი სახელმწიფოებრივი ორგანიზმისა, რომ დაგროვდეს მაქსიმუმი ეროვნულ ენერგიისა და მარქაფად ვიქონიოთ იგი ყოველ საჭირო შემთხვევისთვის.

ტიტე მარგველაშვილი.

ჩვენებას, მალე მას უნდა აეხსნა ყველა კლიტეები, რომ ამოვარდნილიყვნენ გაგიჟებული ცხენები—ამ ცხენებს გაქნილ ჟოკეისავით იჟრვებდა ლენინი. ფოლკონეტის „თუჯის მხედარი“ ათავებდა თავის ციკლს—მას არ ჩაუხედია იმ ხრამში, რომელსაც გაჰყურებდა—ამისთვის სხვა იყო საჭირო და მისი მოსვლა არ იყო ადრე.

მესამე დღეს წაიკითხა ლენინმა თავის ისტორიული მოხსენება, სადაც ამტკიცებდა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია დამპალია ძვლებამდე და უნდა შეიქნეს ახალი კომუნისტური პროგრამა... როგორც გაზეთები ანიშნავდენ ლენინს უპასუხა ი. წერეთელმა, თავმჯდომარეობდა ნ. ჩხეიძე.

არა ნაკლებ ისტორიული სიტყვებით დაათავა თავის სიტყვა იმ დღეს ჩხეიძემ,—აქ იმან თვითონ სთქვა თავის-თავზე სიკვდილის განაჩენი,—მე მგონია ლენინი შეითვისებს რუსეთის რევოლუციას, თუ ეს ასე არ მოხდა ყოველ შემთხვევაში რევოლიუცია არაფერს არ დაჰკარგავსო“.

რასაკვირველია, ზედ-მეტი ფამილიარობა იყო ლენინზე, ანე კატეგორიული თქმაა... მაგრამ მაშინ ჩხეიძე ყველაფერი იყო... ეს ორი იმერელი აზნაური ასე გრძნობდნენ თავს, როგორც ალთქმის პრინცები:

გოგი და მაგოგი.

რუსებსაც ასე სჯეროდათ თითქმის პირველად, მაგრამ მალე ამოხეთქა ეროვნულმა სტიქიამ.

ოქტომბრის გადატრიალება—არის გამართლება რუსეთის:—სხვანაირი არ შეიძლებოდა ყოფილიყო რუსული რევოლიუცია და საზოგადოდ რევოლიუცია.

რევოლიუციის პათოსი—არის თავდავიწყება—ქართული სიფხიზლე იმას ვერ ეგუება—ამიტომ შეუძლებელია ქართული რევოლიუცია, ამიტომ მოშორდენ რევოლიუციას ქართველი მენშევიკები.

ეს დიდი პრობლემაა,—ამაზე ჯერ არაფერი თქმულა.

როცა კითხულობთ პეტერბურგის სოვდეპის ბიულეტენებს, თქვენ გაკვირვებთ მანიფესტის ენა.

ეს ახალი სტილია—აქ სიტყვა პროლეტარული და დიქტატური ამართლებენ თავის სახელს.

ეს არ არის მოგონილი დოქტრინიორის მსჯელობა, ეს ვიზიონერის ხილვაა.

ლენინი თავის უკანასკნელ წიგნს სახელმწიფოზე სწერს ანდრეი ბელის სტილით—უკანასკნელი სტრიქონებია:

— წიგნის მეორე ნაწილს ჩვენ ცხოვრებაში ვსწერთ, რაც უფრო საინტერესოა.

რამდენი თავის დამტკიცებაა ამაში!

და შეადარეთ ეს ნაწერები „ერთობის“ რუხ-ანონიმებს, რომვლთაც არ გამოუცვლიათ სტილი „კვალიდან“ დაწყებული... ერთ ფრაზას არ გაუნათებია მათა მაგარი შუბლი—პათოსზე, რაღა ითქმის! და ეს ხალხი ჰბედავს ოქტომბრის რევოლიუციას „ბუნტი“ დაარქვას...

ძნელი არაა ამის დამტკიცება, რომ ისინი დაშორდენ რევოლიუციას, მაგრამ ეხლა ეს ხალხი პატრიოტიზმე აცხადებენ უფლებას; ხოლო აქაც მოელით სასტიკი გამოფხიზლება...

რუსეთში ისინი ლენინს აბრალებდენ რევოლიუციის ღალატს—საქართველოში ღალატის—ცილისწამება ნამდვილ პატრიოტებზე გადაიტანეს...

მაგრამ როგორც რევოლიუციამ გახადა თავის დროშად ლენინი—ისე საქართველოც მალე მოიშორებს თავიდან მენშევიკების „კოოპერატორებს“, რადგან პატრიოტიზმს არა ნაკლები პათოსი სჭირია, ვინემ რევოლიუციას.

**ტიციან ტაბიძე.**

# საქართველოს პარლამენტში

ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო ჩვენი გაზეთის დღევანდელ №-ში ვერ იბეჭდება საქართველოს პარლამენტის გუშინდელი სხდომის ვრცელი ანგარიში; ვათავსებთ შემოკლებულად:

საქართველოს პარლამენტის მუსულმან წევრთა სახელით შერიფოვმა რუსულ ენაზედ წარმოსთქვა მისასალმებელი სიტყვა და განაცხადა, რომ მისი ამხანაგებიც პარლამენტში რუსულად ილაპარაკებენ. ამის შემდეგ ი. მაჭავარიანმა (ნ. დ.) და ვეშაპელმა (დ. ნ. დ.) დემონსტრატიულად დარბაზი დასტოვეს.

პრეზიდიუმში შეტანილი იყო დამოუკიდებელ ნაც. დემ. შემდეგი შეკითხვა:

„იღებს თუ არა მთავრობა და სახელმწიფო კონტროლიორი ზომებს იმ 30 მილიონის ფონდის ანგარიშების გამოსარკვევად, რომელიც გამოგზავნილი იყო რუსეთის რესპუბლიკის მიერ, საგანგებო სამხედრო კოლეგიის განკარგულებაში, კავკასიის ფრონტის ლიკვიდაციისათვის, რომლის ანგარიშები შესაძლოა საქართველოს ხაზინას მოეკითხოს და რომლის დანარჩენი თანხა—რამოდენიმე მილიონი—ამ ჟამად თბილისის მუშათა და სალდათთა საბჭოს ხელში გადასულა და სოციალ-დემოკრატიულ პარტიულ საქმეებზე იხარჯება?“

სოც. დემ. ფრაქციის სახელით **ირ. წერეთელმა** განაცხადა, რომ ეს შეკითხვა მოხსნილ უნდა იქმნას წესრიგიდან, ვინაიდგან იგი—მთავრობას არ შეეხება.

**გრ. ვეშაპელმა** რეგლამენტის ძალით მოითხოვა, რომ შეკითხვა აუცილებლად გარჩეულიყო და ამასთან ერთად განაცხადა, რომ ეს ფული, რომლისათვის პასუხს აგებს საქართველოს მთავრობა, იხარჯება სოც.-დემოკრატიულ პარტიის მიერ თავის სააგიტაციო მიზნებისათვის. სხდომა 15 წუთით შესწყდა, რათა პრეზიდიუმს ეთათბირა ამ საკითხის გამო. თათბირის შემდეგ პრეზიდიუმმა გამოიტანა დადგენილება, რომ დამოუკიდებელ ერ.-დემ.-ს შეკითხვა შეტანილი ყოფილიყო წესრიგში.

წარსულ სხდომაზე დამტკიცებულ კანონპროექტთა სარედაქციო შესწორებების მიღების შემდეგ პარლამენტმა მოასწრო მხოლოდ ერთი კანონპროექტის განხილვა ამიერკავკასიის რუსულ უნივერსიტეტისათვის 50 ათასი მანეთის გადადების შესახებ.

ამ კანონპროექტმა გამოიწვია ცხარე და ხანგრძლივი კამათი, რაშიაც მონაწილეობა მიიღეს: გ. რცხილაძემ, კ. ნინიძემ, ი. მაჭავარიანმა, ა. წერეთელმა, გ. ვეშაპელმა, რ. ფარნიევმა და მომხსენებელმა ცინცაძემ. სოციალ-დემოკრატებისა და ეროვნულ-უმცირესობის წარმომადგენლების ხმებით ყველა დანარჩენ ფრაქციების წინააღმდეგ პარლამენტმა კანონპროექტი მიიღო და ამრიგად უცხო დაწესებულებას—ამიერ-კავკასიის რუსულ უნივერსიტეტს—საქართველოს გამოფიტულ ხაზინიდან მიეცა 50 ათასი მანეთი.

# ქრონიკა

**პარლამენტის სხდომა.** ღვინობისთვის 17 შაბათის 12 საათზე შესდგება საქართველოს პარლამენტის არა ჩვეულებრივი დახურული სხდომა საქართველოს საზავო დელეგაციის წევრის ნ. იაკ. ნიკოლაძის მოხსენების მოსასმენად.

**ტფ. მილიციელთა შუამდგომლობა.** ტფილისის მილიციელებმა დაადგინეს პროფესიონალურ კავშირის საშვალებით იშუამდგომლონ, რომ სამსახურიდან დაითხოვონ მილიციიდან ის პირნი, რომელთაც პოლიციაში უმსახურიათ.

**სალიკვიდაციო კანონის განმარტება.** მთავრობა განმარტავს, რომ 1918 იანვრის 14 ის სალიკვიდაციო კანონი ეხება მხოლოდ კერძო დაწესებულებებში მოსამსახურეებს, ივლისის 5 ის კანონი კი ეხება სახელმწიფო დაწესებულებში მოსამსახურეებს.

**საქონლის გაცვლა გამოცვლა ყუბანთან.** „ვასეთ „პრიაზოვ. კრ.“ მოთავსებულია შემდეგი ცნობა: ყუბანის პურსა და საპონში გასაცვლელად საქართველოს მთავრობა იძლევა ჩაის გარდა 10 ათას ფუთ ჩირს ფუთს 100 მან., 50 ათას არშინ კავკასიურ მაუდს არშინს 20 მან. 2 ათას ფუთს ფეხსაცმელის საძირე ტყავს 1917 წ. ფასებში, 30 ათას ცალს ნაბდის ჩასაცმელს და ხე-ტყეს განუსაზღვრელად.

ჩაი ყუბანისათვის. საქართველოს ვაჭრობას მრეწველობის მინისტრმა 5.000 ფუთი ჩაი დაამზადა ყუბანში გასაგზავნათ. 2.000 ფუთი ჩაი უკვე ჩატანილია ფოთში. ჩაის გაჰყიდიან გირვანქას 7 მ. და 50 კაპ.

**ებრაელთა კონფერენცია.** გუშინ, 15 ოქტომბერს, გაიხსნა საქართველოს ებრაელთა სხვა და სხვა თემების წარმომადგენელთა კონფერენცია. კონფერენციის სხდომები სწარმოებენ ებრაელთა საქველ-მოქმედო საზოგადოების შენობაში, ბელგის ქუჩაზე.

**გუმბრის დაცლა.** ოსმალებმა გუმბრი დასცალეს ყოველივე საადმინისტრაციო საქმეები და შენობები ერევნიდან ჩამოსულ სომხეთა კომისარს გადასცეს.

**დაპატიმრება.** ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ქუთაისის ყოფილი პოლიცმეისტერი ტერ-ანტონიანი.

**სპირტის შიმშილი.** თბილისის აფთიაქებში ამ ჟამად სპირტი სრულიად აღარ მოიპოვება, რის გამოც ბევრნაირ წამლების დამზადება შეუძლებელი ხდება. აფთიაქის პატრონების დელეგაციამ მრავალჯერ აღძრა შუამდგომლობა სპირტის მიცემის შესახებ, მაგრამ ამაოდ, თუმცა ამას წინად რეკვიზიციის ძალით სასურსათო უწყებას გადასცეს 1000 ფუთი სპირტი.

**მატყლი.** ახალგორიდან სასოფლო კომისიასატყობინებენ, რომ იქ 20,000 ფუთზე მეტი მატყლია დამზადებული, რომელსაც ჩარჩები იაფად იძენენ.

**მიწის მიმღები კომისიის მუშაობა.** მიწადმოქმედების სამინისტროს ცნობა მოუვიდა, რომ 9 მიმღებ კომისიას აქამდე ჩაუბარებია 138000 დესეტინა ტყე.

**შაქარი.** ცენტრალურ სასურსათო საბჭოს საწყობებიდან დაუთმეს ქალაქის სასურსათო განყოფილებას და კოოპერატივთა კავშირს შაქარი ფუთი 105 მანეთად, ხოლო ფხვნილი 97 მ. და 80 კ.

**შეშა თბილისისათვის.** კომერსანტი ხოშტარია ქალაქს დაჰპირდა შეშის დამზადებას მცხოვრებთათვის იმ პირობით, რომ მცხოვრებლებმა ავანსი მისცენ მას. ქალაქმა წინადადება მიიღო.

**ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა ზუბალაშვილის** სახელობის სახალხო სახლში ადგილების ფასი ერთი ორად იქნეს გადიდებული.

ცეცხლის მქრობელთა რაზმის უფროსად დანიშნეს გ. მირშაშვილი.

**ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტის კლინიკების** მოსაწყობად ქალაქის გამგეობამ დაადგინა დაუთმოს თავის ღირებულებად 25 პროცენტის მომატებით საამშენებლო მასალა.

**ქალაქის მოსამსახურეთა შუამდგომლობა.** ქალაქის მოსამსახურეებს აქამდე არ მიუღიათ მარიამობისთვის და ენკენისთვის ჯამაგირი, რის გამოც მოსამსახურეთა კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა სთხოვა ნისიათ მისცენ მათ პური. ქალაქის გამგეობამ ეს შუამდგომლობა გადასცა მოსამსახურეთა ეკონომიურ საზოგადოებას, რომელიც ქალაქის თავის ამხანაგის ბ. კონიაშვილის და მთავარ-კონტროლიორის მონაწილეობით განიხილავს.

**ქართველ ებრაელთა კონფერენცია.** ღვინობისთვის 15 უნდა შემდგარიყო ქართველ ებრაელთა ერ. საბჭოთა კონფერენცია ებრაელთა და ქართველების საერთო ორგანოს დასაარსებლად და პარლამენტში თავისი წარმომადგენლის ასარჩევად. რადგანაც ყველა დელეგატი არ დაესწრო 15-ში მხოლოდ კერძო თათბირი შესდგა. მეორე დღეს გაიხსნა კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ თბილისის, ქუთაისის, ონის, ფოთის, სუჯუნის, ყვირილის და სხვა ადგილების ებრაელთა წარმომადგენლები.

# სამეგრელოში

სასოფლო კომისიას სახალხო გვარდიის საველე შტაბი ატყობინებს, რომ სამეგრელო სრულიად გაწმენდილია ყაჩაღთა ბრბოებისაგან. მასიური გამოსვლები მთავრობის წინააღმდეგ არა ყოფილა. რაც ხდებოდა სულ მიეწერება სამურზაყანოდან გადმოსულ ყაჩაღებს. საჭიროა სამურზაყანოში და სოჭის მხარეში გაიგზავნონ ორგანიზატორები და პროპაგანდისტები.

# წესები სახელმწიფო თეატრში

სახელმწიფო თეატრში ჩვენს უმაღლეს დაწესებულებათ: რესპუბლიკის მთავრობის და პარლამენტის წევრებს მიჩენილი აქვთ განსაკუთრებული ლოჟები. განსაკუთრებული წინა ლოჟა აქვს აგრეთვე, სრულიად შესაფერისად, მიკუთვნილი პარლამენტის პრეზიდიუმს.

ჩვენის აზრით, ეს ადგილები არ შეიძლება იყოს პირადული, არამედ მიკუთვნილია იმ მაღალ თანამდებობებთან, რომელთაც ისინი ატარებენ. მაგრამ ჩვენ გაკვირვებას ვეძლევით, როდესაც საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმის ადგილზედ ვხედავთ მილიციის უფროს, მილიციონერების თანხლებით და პარლამენტის ქვესტორს ჟორჟოლიანს. ყოველ მაღალ თანამდებობასთან დაკავშირებულია ტრადიცია, რომელიც უსათუოდ შენახული უნდა იქმნეს და შეუძლებელია, რომ ქვესტორები და დარაჯები საჯარო ადგილებში იკავებდნენ შეუფერებელ ადგილებს და მერე ისეთს, როგორიც არის პარლამენტის თავმჯდომარის ადგილი. თეატრის დირექციამ უნდა ალაგმოს ამგვარი კადნიერება, რადგან ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ იმ პირებს, ვისაც ეს ადგილები ეკუთვნის, ეს ამბავი არ იციან. ამ ლოჟის პირდაპირ მოთავსებულია უცხოელ დელეგაციების ლოჟა და მათ წინაშე მაინც უნდა იყოს უხერხული...

# ოსმალების წასვლა ამიერკავკასიიდან

ღვინობისთვის 12 სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელმა უკრაინაში ი. მამიკონიანცმა კიევიდან დეპეშით შეატყობინა სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს საქართველოში, ჯამალიანს: გერმანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ოფიციალურად აცნობა ოღაჯანიანს, რომ ოსმალეთი ამიერკავკასიაში სცლის იმ ადგილებს, რომლებიც ბრესტის ხელშეკრულებით არ გადასულა ოსმალების ხელში.

—

ღვინობისთვის 5 გუმბრიდან ერევანში ჩავიდა ხალილ-ფაშა, რომელსაც სომხეთის მთავრობასთან მოლაპარაკება ჰქონდა დიდმნიშვნელოვან საკითხზე.

—

სპარსეთიდან გუმბრით ოსმალეთში წავიდა 10,000 ასკერი.

—

ერევნიდან ჩამოსულთა სიტყვით ოსმალებს მთელი ბამბაკის რაიონი დაუცლიათ. რკინის გზაზე ჯერჯერობით კიდევ ოსმალთა პატრულებია. კარაკლისიდან გუმბრამდე ვაგონები დატვირთულია მცხოვრებთა ბარგით და ქონებით, რის წაღებასაც აპირებენ. ოსმალებს მიაქვთ აგრეთვე ზედმეტი ლიანდაგი, შპალები და რკინის ნაჭრები. გუმბრში ოსმალები წასასვლელად ემზადებიან. ამას თვითონ არა მალავენ და ამბობენ ოსმალეთის მთავრობა სცლის ამ ოლქებს, რომლებიც ბრესტის ხელშეკრულებით დაკავებულ ადგილებს აქეთ არისო.

—

ოსმალთა შტაბი გუმბრიდან ყარსში გადავიდა.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტოს.

**ტრანსოკეანეს პრესბიუროს ცნობა**

## ომი

### დასავლეთის ფრონტი.

კამბრეს, სენკანტენის, პერონნის, ალბერის, ბაპომის, მანდიდეს და ნუაიონის ბედი ეწვია. შეთანხმების სახელმწიფოთა ჯარებმა აიღეს ეს ქალაქები და სრულიად გაანადგურეს. რამდენიმე კვირის განმავლობაში ქალაქს უწყალოდ უშენდნენ ყუმბარებს და ანადგურებდნენ სახლებს და ქუჩებს. მცხოვრებნი ველარ გამოდიოდნენ სარდაფებიდან. მტრის მოახლოვებისას ჰაერიდან ნასროლ ყუმბარებს მიემატა მძიმე ზარბაზნების ყუმბარებიც. მცხოვრებნი უშიშარ ადგილებში გახიზნეს. როდესაც ღამე 9 ოქტომბერს გერმანელების უკანასკნელი მოწინავე რაზმებმა სიმაგრენი მიატოვეს მათი უკან დახევა ჯოჯოხეთში მსვლელობას მოაგონებდა: მინგრეულ-მონგრეული ქალაქი და ნანგრევებით სავსე ქუჩები, ცხენების და ადამიანების ამყრალებული გვამები და წითელი, ცეცხლის ალისგან შეღებილი ცა.

ნეიტრალური პრესა იმედს გამოსთქვამს, რომ ინგლისი შეუერთდება ვილსონის ზავს რადგან ინგლისსაც სწყურიან ომის ბოლოს მოღება. მაშინ ვილსონისა და ლოიდ-ჯორჯის ავტორიტეტი საკმარისი იქნება, რომ კლემანსოს და ორლანდის წინააღმდეგობა მოსტეხოს. მაგრამ ინგლისს ოფიციალურად აქამდის ერთი სიტყვაც არ უთქვამს. ნააღრევია აგრეთვე დასკვნაც, რომ ვილსონი ერთად-ერთი ავტორიტეტია და მორალურად გამარჯვებულია შეთანხმების მოლაშქრეთა შორის. მაგრამ ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ ფაქტს, რომ ვილსონის იდეალების და ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალიზმის შორის უკანასკნელი უფრო ძლიერია. მაგრამ ამის ცდა უნაყოფოდ ჩაივლის, რადგან არ იქნება არც ზავი, არც საზავო მოლაპარაკება.

**დასავლეთის ასპარეზი, გერმანიის ცნობა.**

**ბერლინი.** 15 ოქტომბერი. კრონპრინცის რუპრეხტის ლაშქარი. ფლანდრიაში ცარენოსა და ლისის შუა მოწინააღმდეგემ ისევ განაახლა იერიშები. მან მოახერხა ჩვენს წინა ხაზებში შემოჭრა. შუადღისას ბრძოლა როხელერის აღმოსავლეთით კორტემარკის ხაზზე სწარმოებდა. მკაცრი ბრძოლის შემდეგ ის ადგილი იზეგემის სამხრეთ დასავლეთით და ბენებს ჩრდილო აღმოსავლეთით მოწინააღმდეგის ხელში გადავიდა. მიუხედავად მოწინააღმდეგის ძლიერი იერიშებისა მენები და ვერვიკი ჩვენ შევინარჩუნეთ. ნაშუადღევს ბრძოლის განახლების დროს დავკარგეთ მანდზამი და კორტემარკი. ძლიერი იერიშებით, რომელსაც ხელს უწყობდა ჯავშნოსნები, მოწინააღმდეგემ შესძლო ცოტაოდენი ტერიტორია მოეგო მაზესა და ბენებს შუა.

**გერმანიის კრონპრინცის ლაშქარი.** დილით, როდესაც დიდი ჯანყი იდგა, მოწინააღმდეგე შემოიჭრა უაზოს აქეთ სენ-კანტენის აღმოსავლეთით და იქ დროებით გაჩერდა სიმაღლეებზე მაკინის სამხრეთით და ორინის ჩრდილოეთით. კონტრიერიშებით მოწინააღმდეგე ისევ უკუვაგდეთ უაზოს იქით. ლაონის ჩრდილოეთით მდ. ენის დასავლეთით გრაილერის სამხრეთ აღმოსავლეთით მოწინააღმდეგე ძლიერ იერიშებს აწარმოებს.

**გალვიცის ლაშქარი.** ეირსა და მაასის შუა ამერიკელებს ძლიერი იერიშები მოჰქონდათ. ბრძოლის უმთავრესი ადგილი იყო ეირსა და გზატკეცილის ორთავ მხარეს, რომელიც მიდის შამპეტრიდან ბანდევილისკენ. მოწინააღმდეგისაგან ოთხჯერ განმეორებული იერიშები უშედეგოდ ჩატარდა, ცოტა ტერიტორია მოიგეს რომანის ორთავ მხრივ.

**სამხრეთ-აღმოსავლეთის ასპარეზი.** ნიშის ჩრდილო დასავლეთით და ჩრდილოეთით მცირე ბრძოლები იყო შემჩნეული.

## პალესტინის ასპარეზი

**სტამბოლი.** 15 ოქტომბერი. მოწინააღმდეგემ დაიჭირა ქ. ხომსი, რომელიც ჩვენ რამდენიმე დღის წინად დავცალეთ.

მესოპოტომიაში მოწინააღმდეგის მზვერავი რაზმები ჩვენ ტიგრის ასპარეზთან დაახლოვებას ცდილობდენ.

**ბერლინი.** 15 ოქტ. ბრძოლის ასპარეზზე ფლანდრიაში მოწინააღმდეგე განაგრძობდა იერიშებს. მან მოახერხა ცოტაოდენი ტერიტორიის მოგება.

**ვენა.** 15 ოქტ. იტალიის ასპარეზი. სამხედრო მოქმედება გუშინაც გაცხოველებული იყო.

**ბალკანეთის ასპარეზი.** ჩვენმიერ დაცლილი დურაცო იტალიელებმა დაიჭირეს. ჯარების მოძრაობა ალბანიაში და სერბიაში მოწინააღმდეგესთან მცირეოდენი ბრძოლებით სწარმოებს.

# თბილისის საბჭოში

(14 ოქტომბრის სხდომა)

ქალაქის საბჭო ისევ ძველებურად ეწევა მხოლოდ პოლიტიკურ მოღვაწეობას და მუდამ ივიწყებს სამეურნეო საქმეებს.

ორშაბათის სხდომაზედაც, როგორც კი თავმჯდომარე იაკჯიანმა კრება გახსნილად გამოაცხადა, წამოდგა დაშნაკცაკანების მხრივ ხმოსანი ზარგარიანი და განაცხადა, რომ მას აქვს არა ჩვეულებრივი წინადადება და დაიწყო ლაპარაკი იმის თაობაზედ, თუ როგორ დაჰხოცეს თათრებმა ბაქოს აღების დროს, უდანაშაულო ხალხი. გაიმართა კამათი, რომელიც მოგვყავს შემოკლებით.

**ხმ. ზარგარიანი.** ამასწინეთ ხმოსანმა თუმანოვმა აღძრა საკითხი ჩვენს საბჭოში იმ უბედურების შესახებ, რომელიც დატრიალდა ბაქოში, როდესაც ეს ქალაქი აიღეს ოსმალოს ასკერებმა და ადერბეიჯანის ბრბოებმა. მაშინ თბილისის საბჭომ ფეხზედ ადგომით პატივი სცა დახოცილთა ხსოვნას. დღეს ჩვენ გვაქვს უფრო დაწვრილებით ცნობები და ჩვენს მწუხარებას საზღვარი არა აქვს. დაჰხოცეს აუარებელი ხალხი, არ დაინდეს ქალები, ძუძუმწოვარა ბავშვები, მოხუცები და ყველას მუსრი გაავლეს. დაიპყრეს დემოკრატიის უკანასკნელი ციხე-სიმაგრე ბაქო, დაჰქრა თავისუფლების ლამპარი და დემოკრატიამ დაჰკარგა თავისი „ციტადელი“ და იქ სადაც ფრიალებდა თავისუფლების დროშა, დღეს იქ ადერბეიჯანის მთავრობა და ასკერები პარპაშობენ და სისხლს ღვრიან. მე დაშნაკციუტუნის პარტის სახელით შემომაქვს წინადადება, რომ ტფილისის საბჭომ გამოაცხადოს თავისი პროტესტი და მოგცა შემდეგი წინადადება:

„ტფილისის საბჭომ მოისმინა რა, რომ ბაქოში დაუხოციათ უდანაშაულო ხალხი, გამოსთქვამს თავის პროტესტს ამ ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ“.

**ხმ. პაპოვი** (სოც.-დემ.) სოც.-დემ. მხრივ უერთდება ზარგარიანის წინადადებას, მხოლოდ ეს წინადადება მიაჩნია მკრთალად და პროტესტი კი უფრო მრისხანეთ უნდა იყოს გამოთქმული.

**ხმ. ხუდადოვი.** სოციალისტ-რევოლ. მხრივ სამართლიანად მიაჩნია ეს წინადადება. ტფილისის პროლეტარიატმა ხელი უნდა გაუწოდოს ბაქოს პროლეტარიატს, დაეხმაროს მას, და ხმა ამოიღოს, როდესაც ამ პროლეტარიატის ინტერესებს ფეხით სთელავენ, და რევოლიუციის მონაპოვარ თავისუფლებას ახშობენ და რევოლიუციის მებრძოლთ ბაქოში იჭერენ და ხოცავენ.

**ხმ. პ. გოთუა** (ერ. დემ.) მე მესმის ხმ. ზარგარიანის გულის წყრომა. როდესაც უდანაშაულო ხალხი იჟლიტება, კაცთმოყვარეობა გვავალებს, რომ პროტესტი განვაცხადოთ. ოსმალოს ასკერებმა მართლაც დიდი ხალხი გაჟლიტეს და მოიქცენ ბაქოშიც ისე, როგორც იქცეოდენ ბათუმში, ახალქალაქში და სხ. ამ მხრივ მე ვუერთდები საერთო პროტესტს, მხოლოდ მსურს შევიტანო ერთი შესწორება. როდესაც ბ. ზარგარიანი ამბობს, რომ თავისუფლების უკანასკნელი ციხე დაინგრაო, ეს მართალი არ არის. ბაქოს დაეპატრონენ ბოლშევიკები, რომელნიც ბაქოშიც, როგორც ყველგან იყვნენ თავისუფლების მტერნი. მათ დაარღვიეს პირველად ამიერ კავკასიის ერთობა, გასთიშეს დემოკრატია და ბაქოს დემოკრატია ჩამოაშორეს თბილისის დემოკრატიას. და როდესაც ბაქოში ძალა უფლება ბოლშევიკებმა ხელთ იგდეს, მოახდინეს იქ ისეთივე „პოგრომი“, ისეთივე უდანაშაულო ხალხის ხოცვა და ჟლეტა, როგორც ეს მოახდინეს ახლა ოსმალოს ასკერებმა. ჩვენთვის სულ ერთი უნდა იყოს ვინ არის უდანაშაულოდ დახოცილი თათარი, თუ სომეხი, რუსი, თუ ქართველი. ჩვენ ერთნაირად უნდა დავგმოთ როგორც ეხლანდელი, ისე ბოლშევიკების „პოგრომი“ ბაქოში და როდესაც ახლანდელ ხოცვა ჟლეტაზედ ვლაპარაკობთ, ის ისტორიული სამარცხვინო ფაქტი, რომელიც ჩაიდინეს რამოდენიმე თვის წინეთ ბაქოში, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ და გამოვსთქვათ ჩვენი პროტესტი.

**ხმ. არსენიძე** (სოც.-დემ.) ჯერ კიდევ არ გამშრალა ის სისხლი, რომელიც დაიღვარა ბაქოში, ამიტომ დავანებოთ თავი ისტორიულ ფაქტს და ზარგარიანის პროტესტი მივიღოთ.

**ხმ. ამირაგოვი** (კადეტი) უერთდება ზარგარიანის პროტესტს, მხოლოდ საჭიროდ მიაჩნია, რომ საბჭომ გადასდოს 25—50 ათასი მან. ბაქოში დაზარალებულთა დასახმარებლად გასაგზავნად.

**ხმ. ფარნიაშვილი** (სოც.-დემ) ამბობს, რომ 1905 წ. ასეთი დახმარება კიდეც გავუგზავნეთ ბაქოს და იგონებს იმ შემთხვევას, რომ ამ საკითხის გარჩევის დროს გუბერნატორმა და მაშინდელმა ქალაქის თავმა ვერმიშევმა ყაზახრუსები დაგვასიეს და დაგვსვრიტეს.

**ხმ. ვესელოვზოროვი** პროტესტს აცხადებს, ვერმიშევი აქ არაფერ შუაში იყო.

**ხმები:**—ვიცით, რაც იყო, ვერ გაამართლებთ.

**ფარნიაშვილი**—მე თვითონ იმ საღამოს დამსჭრეს, როგორ არ ვიცი...

**საბჭომ** ერთხმად მიიღო წარმოდგენილი ზოგადი ხასიათის პროტესტი ბაქოს შესახებ.

**ქალაქის თავი** ელიავა საჭიროდ სთვლის რომ გადადებულ იქნას თანხა ბაქოში გასაგზავნად 50,000 მან.

**საბჭო** ადასტურებს ამ წინადადებას.

**ხმ. გოთუას** დამატებით, რომ გაგზავნილი ფული უნდა მოხმარდეს ყველა დაზარალებულთ ეროვნების გაურჩევლად.

შემდეგ მიღებულ იქნა დაშნაკციუტუნის წინადადება, რომ ნიშნად გლოვისა, კრება დახურულად გამოცხადდეს.

ამ ნაირად შესწყდა კრება, რომ მომავალ ორშაბათს, ისევ რაიმე ახალი დემონსტრაცია გააკეთონ. **ა.**

# ჩვენი დამოკიდებულებისათვის ადერბეიჯანთან და მთიულეთთან

კავკასიაში მოსახლე ერების კეთილდღეობა, მათი კულტურული და ეკონომიური წარმატება უსათუოდ დამოკიდებულია იმაზე თუ როგორი მეზობლური ურთიერთობა დამყარდება მათ შორის. დღეს კავკასიის ერები იმყოფებიან სახელმწიფოებრივი თვითგამორკვევის პროცესში და მათ ურთიერთობაში უპირველესი ადგილი უფრო ნაციონალური პოლიტიკის მოტივებს უკავია. გასაკვირი არ არის

რომ ასეთს პირობებში ხშირად ვერ ხერხდებოდეს აზრთა სოლიდარობა. ბევრს ჰგონია თითქოს კავკასიის თვითგამორკვეულ ერებს შორის არსებობდეს ძირითადი ინტერესების შეურიგებლობა და წარმოუდგენლად მიაჩნიათ კავკასიის სახელმწიფოთა მჭიდრო ეკონომიური და პოლიტიკური კავშირი, რომელიც ააცდენს მათ შესაძლო გარეშე საფრთხეს.

ჩვენ არ გავსდევთ იმ შორეულ პერსპექტივების გათვალისწინებას, რომლებიც დღესვე გვიკარნახებენ, არამც თუ დასახელებული კავშირის შესაძლებლობას, არამედ მის აუცილებლობასაც კი. მხოლოდ მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებაზე რომელიც ეხლანდელ პირობებში ვითარდება. ჩრდილოეთ კავკასიაში დამკვიდრდა და თანდათანობით იზრდება და ძლიერდება ისეთი ძალა, რომლის ანგარიშში უსათუოდ შედის განთავისუფლებული ერების ხელ ახლა ძველი უღლის ქვეშ დაბრუნება. ეჭვი არ არის, თუ ჩვენ არ ვიქნებით საერთო მიზნებში შეთანხმებული და არ დავამყარეთ ერთგვარი თანხმობა, ცალ-ცალკე თითეულს გაგვიძნელდება მტრის მოგერიება.

მთიულეთის ფენებზე ჯერ კიდევ არ დამთავრებულა აწიოკებული ოჯახების შემოხიზვნა და მათი საშვილიშვილო ველ-მინდვრები ჯერ კიდევ მტრის ხელშია, და თუ დღეს ადერბეიჯანმა თავისუფლად გამართა თავის სახსრები ის მაინც ფრთხილად უნდა იყოს იმ მწარე დღეების მოგონებით, რომელიც მას გაუთენა ბოლშევიზმის სახით მტრის შემოსევამ.

თუ კი ვისწრაფით ძმურ განწყობილებისადმი, ჩვენს ურთი-ერთობაში აქედანვე არ უნდა დარჩეს გამოურკველი კითხვები და ბნელი ადგილები: ჩვენ შორის უნდა ყველაფერი ითქვას.

როდესაც ადერბეიჯანი იძულებული იყო მტრებისაგან თავისი მიწა-წყლის დასაცავად მიემართნა გარეშე ძალისათვის დასახმარებლად, დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ამ ძლით ჩვენ წინააღმდეგ არ ისარგებლებდა და ადრინდელ კეთილ-მეზობლურ განწყობილებასა აგრესიულ პოლიტიკას არ ანაცვალებდა. ამაში გვარწმუნებდენ ის საერთო ინტერესები, რომლებიც ჩვენგან ითხოვდენ შეერთებულ ძალით მუშაობას.

ჩვენ ეჭვის თვალით ვუცქერით ყველა იმ ინტრიგებს და მითქმა-მოთქმას, რომლებიც ჩვენამდი აღწევს ხოლო თვალის დახუჭვა აშკარა ფაქტების წინაშე არ შეგვიძლია.

ჩვენს კეთილ-მეზობლურ განწყობილებას შეურაცყოფას მიაყენებდა ის გარემოებაც კი, თუ რომ დასახელებული სახელმწიფოთა გულში ვერ ვპოებდით თანაგრძობას ვერაგულ საქციელის გამო, რომელიც ოსმალეთის შეურიგებელმა პოზიციამ გამოიწვია და ჩვენს სამშობლოს გამოჰგლიჯა მისი ორგანიული ნაწილები. ხოლო ეს კეთილ-მეზობლური განწყობილება მაშინ მიაღწევს სასურველ მიზანს, თუ ჩვენი მეზობლები იცნობენ და პატივს სცემენ ჩვენს ნაციონალურსა და ისტორიულს უფლებებს.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს, რომ მის გვერდით არსებობდნენ თავისუფალი მთიულეთი და დამოუკიდებელი ადერბეიჯანი. მაგრამ უნდა ვიცოდეთ როგორ ესმით ჩვენს მეზობლებს პოლიტიკური თვითგამორკვევა. თუ ამაში ჰგულისხმობენ ოსმალეთისაგან მათი მიწა-წყლის სამუდამო ოკუპაციას, უნდა ვთქვათ, რომ ასეთი კომბინაცია საზოგადოთ კავკასიაში გაართულებდა მდგომარეობას. ვიტყვით მეტსაც, ასეთი მიზნის შესრულება, რამდენათაც დღევანდელი ძალთა განწყობილების შესწავლა გვარწმუნებს, ყოვლად შეუძლებელია...

ერთად ერთი გზა მთიულეთისა და ადერბეიჯანის სახელმწიფოებრივი და ეროვნული მიზნების მისაღწევათა და უზრუნველსაყოფად არის აქტიური პოლიტიკის წარმოება დამოუკიდებლობისათვის. დაკავშირება იმ ევროპიულ ძალებთან რომლებიც თვითონ არიან დაინტერესებულნი, რომ ხსენებული ერები მოჰყვენ კულტურის გავლენის ზონაში.

რაც უფრო ადრე დამკვიდრდება ასეთი შეგნება ჩვენს მეზობელ ერებში, მით უფრო ადვილი შესაძლებელი გახდება მჭიდრო მეზობლური კავშირის დამყარება ურთიერთ შორის და მაშინ კავკასიის ხალხებს ვერ შეაშინებს მათი მტრების მუქარა და იარაღის ჟღარუნი.

კ. ხ—ძე.

## უცხოეთის ამბები

**ებრაელების გადასახლება ყუბანიდან**

„ყუბ. კრ." იტყობინება, რომ ეკატერინოდარში შესდგა ებრაელების კრება ლტოლვილ ებრაელების ყუბანის ოლქიდან გადასახლების საკითხის გამო. კრებას დაესწრო კომენდატურის თავმჯდომარე.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ, გადასწყვიტეს დელეგაცია გაგზავნონ ყუბანის საოლქო მთავრობასთან და ეთხოვოს მას ებრაელების ყუბანიდან გადასახლების ბრძანების გაუქმება.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ეს თხოვნა შეუწყნარებელი დარჩა გადასახლებულ ლტოლვილ ებრაელთა დასახმარებლად მოწყობილ იქმნას სათანადო ორგანიზაცია.

**ბალფურის სიტყვა**

„ბერლინ. ტაგებლ." იუწყება: ბალფურმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ ერთა კავშირის შექმნამდის ევროპაში ხანგრძლივი მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად საჭიროა მოწესრიგდეს პოლონეთისა და ბალკანეთის საკითხები, უნდა აღსდგეს ბელგეთი და სერბია და დაუბრუნდეს იტალიას ყველა წართმეული ადგილები. ამის გარდა ერთა კავშირის შესაქმნელად აუცილებლად საჭიროა მოკავშირეთა სრული აბსოლუტური გამარჯვება.

**ქალაქი უდაბნო**

ლეძში ჩასული ცნობით არმავირიდან გადიხვეწა 70 ათასი მცხოვრები.

**ესპანური ავათმყოფობა**

ესპანურ ავადმყოფობის ეპიდემიის გამო ქ. ხერსონში რამდენიმე საშუალო სასწავლებელი დაიკეტა.

**კოალიციური სამინისტრო უნგრეთში**

უნგრული გაზეთების ცნობით, უნგრეთში ამ დღეებში შესდგება კოალიციური სამინისტრო დღევანდელ პრემიერის ვეკერლეს მეთაურობით. კაბინეტის შემადგენლობაში შედიან ყველა პოლიტიკურ პარტიათა ბელადები, ტისა, გრაფი აპონი და ანდრაში.

**ჰუსარეკის სიტყვა**

რაიხსტაგში ამას წინედ სიტყვა წარმოსთქვა მინისტრ-პრეზიდენტმა ფონ-ჰუსარეკმა. მან დასურათა სერიოზული მდგომარეობა ბულგარეთის გამოსვლით გამოწვეული და გერმანეთის კავშირის სიმტკიცე. აქვე აღნიშნა ისიც, რომ ავსტრია მასთან ხელიხელჩაკიდებული ივლის მაგრამ ნუ თუ ვერ ვიპოვით ისეთ გამოსავალს, რომ მებრძოლ სახელმწიფოთა რამდენიმე ჯგუფი შეთანხმდეს. პოლონურ საკითხის გამო ჰუსარეკმა შენიშნა რომ პოლონეთი როგორც დამოუკიდებელი ფაქტორი ახლა გამოდის პოლიტიკურ არსებობის ასპარეზზე და ჩვენც მზად ვართ დახმარება გაუწიოთ.

## სამხრეთი ლაშქარი

ბერლინიდან იუწყებიან: ბოლშევიკთა დესპანმა იოფემ გერმანეთის საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარს შემდეგი შინაარსიანი ნოტა ჩააბარა. ბატონო სტატს-სეკრეტარო! ამით მოგახსენებთ ფაქტები, რომელნიც სარწმუნო წყაროებით არის დამტკიცებული: უკრაინის სხვა და სხვა ქალაქებში და ცენტრებში გერმანელთა მიერ დაპყრობილ ადგილებში სდგება „სამხრეთი ლაშქარი". „გოლის კიევა"-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი რედაქციის მიმართ: „სამხრეთ ლაშქრის მეთაური ეშელონი მშვიდობიანად დაბრუნდა თავის ადგილზე. სალამი ნათესავებს და ნაცნობთ. პოლკოვნიკი ფეოდოროვი. ჯარის მომგზავრი ბიურო ამ ლაშქრისა იმყოფება კიევში და მოთავსებული გლადინოეკის სასტუმროში ფუნდუკლეევის ქუჩაზე. მიღებულ ცნობებით სამხრეთ ლაშქარს თავის შტაბები აქვს სხვა და სხვა ცენტრებში, ოდესაში, პსკოვში, მინსკში, ხარკოვში, გომელში, ჟიტომირში, როვნოში და კამენეც-პოდოლსკში. ამ ჟამად ამ ლაშქარისთვის მზადაა ხუთი ჯავშნიანი მატარებელი, რომელიც ჯერჯერობით ოდესაში იმყოფება.

ლაშქრის მთავარი საინტენდანტო გამგეობა ამ ჟამად კიევშია. ამას გარდა ყირიმიდან მინსკში ჩამოვიდნენ ყოფილი ოფიცრები ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის რომანოვის მონდობილობით, მოხალისეთ შესაკრებად და სამხრეთ ლაშქრის შესახებ აგიტაციისთვის.

ლაშქრის მიზანია — ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა, საბჭოთა მთავრობის ჩამოგდება და რუსეთში მონარქიის აღდგენა. ფორმა მონარქიულ წესწყობილებისა, ბრძოლის შემდეგ გადაწყდება. სამხრეთი ლაშქარი შეადგენს კორპუსს, რომელსაც ჰმეთაურობს გენ. სემენოვი. მის თანაშემწედ დაინიშნა გენერალი ლიპოვეცი, ყოფილი სარდალი მე 120 სალაშქრო კორპუსისა. შემდეგ ნოტაში გამოთქმულია პროტესტი სამხრეთ ლაშქრის შედგენის გამო. პასუხის მიღების უმალ იოფემ დეპეშით მიჰმართა გარეშე საქმეთა კომისარს: პროტესტის ნოტის საპასუხოდ მიღებულია პასუხი სტატს-სეკრეტარის ჰინცესი, რომ მთავრობამ ამის შესახებ არაფერი არ უწყის. გამოძიება მოხდა ადგილობრივ თუ დამტკიცდა ყველაფერი, მიღებულ იქნება შესაფერი ზომები.

## მგზავრის ფიქრები და დარდები

II

ყმაწვილობიდგანვე ჩემი თბილისში ჩამოსვლა ერთი სიხარული იყო, ჩემთვის სანატრელი მოვლენა იყო. თბილისს ისე შევყურებდი, როგორც რომაელი თავის დედა-ქალაქს, ურბსს. ჩემთვის თბილისი „ქალაქი" იყო, სადაც ვეძიებდი გონიერების საუნჯეს, ძველს წარსულს და ახალს სატრფიალოს.

ამნაირი ჩემი ლტოლვა თბილისისადმი ხდებოდა იმ დროს, როცა რუსეთის სულის შემხუთავი ჰაერი ჰქროდა იქ, როცა კანონი არსებობდა მისთვის, რომ ქართველი დაეტანჯა, დაექსაქსა, როცა სამართალი იჭრებოდა რუსების და სხვა შემოხიზნულთა ხალხთა სასიკეთოთ, როცა გარემოება ქმნიდნენ მუხრანსკებს და სხვა მისთანებს, რომელნიც გვიქადაგებდნენ პატარა ხალხების მოსპობას დიდი ხალხის სასარგებლოდ, როცა ჩვენი მიდამო უცხოელთა ხალხთა და მათ სასიკეთოდ ითვლებოდა, როცა ილაჯ გაწყვეტილს ადამიანს სასოება ეკარგებოდა, მომავალი ბურანივით სიზმარში თუ დაეზმანებოდა.

მაგრამ ამ სასოწარკვეთილების დროსაც, მოვიდოდი თუ არა თბილისის სადგურზე ჩემი გული მაინც კმაყოფილდებოდა სანახაობით...

* * *

მაგრამ რას ვხედავ დღეს! სადგური აოხრებულია, სადაც მგზავრს შეუძლია გასვლა იქ კარები ჩაკეტილია, მუშები ჩამსხვრეულია, გასასვლელი გზები ყრუ ურდოებისკენ მიძვრება, თითქოს ადამიანს ეუბნება, ნუ გადიხარ, აქ თქვენთვის სასიხარულო არაფერია, ჩუმათ შეიპარეთ თბილისში, სადაც თქვენ ვერ ნახავთ მოსვენებას და სიამეს.

ხალხი ერთიმეორეს აწყდება, ზოგი ბილეთების საყიდლად თავს იმტვრევს, ზოგი ბარგს ალაგებს გასაგზავნად, მაგრამ ვინ არის ნეტავი იმდენად ბედნიერი, რომ მოესწროს თავის ბარგის თავის დროზედ გაგზავნას. ამ დროს, ამ სოდომ-გომორის დროს, სადგურს მოადგება ორი ავტომობილი ახალგაზდა დარაჯებით სავსე, თოფები ალმა აუპყრიათ, მღერიან. ვკითხულობ, რა ამბავია-მეთქი? მეუბნებიან: მთავრობის კაცს მოელიანო...

ეს არის ბედნიერება, ეს არის სამოთხის შესავალი, ეს არის იკარიის სამფლობელო, სადაც ადამიანმა უნდა ნახოს შვიდობა და სათნოება!

სახელმწიფოს აღშენებისათვის ვერ ვყოფილვართ ჯერ მომზადებული, ადამიანს ადამიანობა ჯერ ვერ გამოუჩენია, ახალი მართვა-გამგეობის შესაგუებლად და ცხოვრების განვითარებისათვის ჯერ ჩვენ შორის ვყოფილვართ.

* * *

წარსულის შუა საუკუნეში ბირონე განთქმული რევოლუციონერი, კრიტიკოსი და ბელეტრისტი, როდესაც აბობოქრებულ გერმანიას თავი დააღწია და პარიზში შევიდა, თავს ისე ბედნიერად სთვლიდა, ისე კმაყოფილი იყო, რომ თავს უშველა, ისე ალტაცებული იყო, რომ სამოთხეს მიაღწია, ისე ნამეტან ბედნიერათ სთვლიდა, თავს რომ დღით ადრიანათ მეტი საფიქრალი არაფერი დარჩენილა რა, რომ უნდა შემძვრალიყო პატარა ოთახში, სადაც ადამიანები თავის დასაკმაყოფილებლად დღით მიეშურებიან. მეც ბედნიერი ვიყავი თბილისში ჩამოსვლით იმ დროს, როცა ბორკილ ახსნილ საქართველოს თვითმპყრობელობა მოესწრო. მეც მინდოდა დამშვიდებული დამეძინა ტკბილათ, მინდოდა მენახა იკარიის სამეფო, მეც მსურდა მენახა არარსებობის, უტოპიზმის ქარხანა, მეც მსურდა წილი მიმეღო საქართველოს დამოუკიდებლობაში.

ამბობენ უტოპია, „არ არსებობა" ისეთი მწერლობის გამოხატულებაა, რომელიც წმინდა ლიტერატურულ და სოციალოგიურ-პოლიტიკურ ფილოსოფიის სამზღვარზედ აღმოცენდებაო.

უტოპია, (არ არსებობა) აღნიშნავს არამც თუ აწმყოს მდგომარეობას, ის წინამორბედია მომავლის. ლ. ბტეინი ამბობს, რომ „არ არსებობის" მწერალნი მაშინ გაჩნდებიან ხოლმე ლიტერატურაში, როცა საზოგადოებაში მომწიფებულია საზოგადოებრივი წესწყობილების ცვლილების ნიადაგიო. ამ ცვლილების მოახლოვებას გულუბრყვილო საზოგადოების წევრები ვერ მიხვდებიან ხოლმე, მაშინ როდესაც მომწიფებული, განვითარებული ადამიანები ინსტიქტურად, ბუნდოვანათ წინამორბედობენ, წინამეტყველობენო. სანამდის საზოგადოება კმაყოფილია თავის მდგომარეობით არაეის არ მოსდის თავში საოცნებო წესწყობილებაზედ იმსჯელოს და თუ ვინმე დასწერს ამ გვარ საოცნებოს, საზოგადოება მას ყურადღებას არ აქცევს. ამ გვარი უტოპიზმის (არ არსებობის) მწერლები ვერ დაიმსახურებენ საზოგადოების პატივსაო. იმას მაგალითებიც მოჰყავს, მარელის (არ არსებობა) წინამორბედი იყო საფრანგეთის რევოლუციისაო. კაბეს „არ არსებობა" კანდელი იყოო 1848 წლის რევოლუციისაო. ამ ბოლო ხანებში „არ არსებობის" მწერალნი მრავლად გაჩნდენ ევროპაშიდო: კუფერი, ჟულვერნი, უელსი, სტიფენსონი და სხვანი ახალგაზრდობის გონებას უტოპიის მწერალნი დიდათ ავითარებენ, მასთანავე სრულწლოვანებიც ბევრს იძენენ, ისინი ამ თხზულებებით ერთდროულად ივიწყებენ უფერულს საზოგადოებრივ ცხოვრებას, გაწამებულ ბრძოლის ნიადაგს ივიწყებენ და განისვენებენ ოცნების სფეროში სადაც არც სიღარიბეა და არც უკუღმართი თავმოყვარეობა, სადაც მეფობს დაუდევნელი სიმართლე. ნუ თუ ბ. ნ. ჟორდანიას უტოპიური პროექტი „დემოკრატიული რესპუბლიკა" ისე, როგორც მას წარმოუდგენია, წინამორბედია დიდი კრიზისისა, რომელიც ჩვენმა უბედო სამშობლომ კიდევ უნდა განიცადოს!

ნუ თუ ჩვენმა ყმაწვილობამ მხოლოდ თავისი ცნობის-მოყვარეობა უნდა განავითარონ და ჩვენ მომწიფებულებმა კიდევ ოცნების სამოთხეზედ უნდა მოვიკალათოთ და გვეგონოს ნამდვილს რეალურს ცხოვრებას ვესწრაფებითო!!!

* * *

ამბობენ, რომში მივიდეს კაცი და პაპა ვერ ნახოს, ეს შეუძლებელია, ყოველი მორწმუნე კათოლიკე ვალდებულია პაპას ფეხთ ემთხვიოს და მით განიკურნოს ყველა ცოდვებისაგანაო. მეც თბილისში ჩამოვედი და როგორ შეიძლება ჩვენს პარლამენტს არ ვესტუმრო, წმინდათა-წმინდას ტაძრის წინ მუხლი არ მოვიდრიკო მეთქი.

თვით პარლამენტის მოწყობილობა არ იწვევს მოკრძალების გრძნობას; ყველგან სიღარიბეა, მოუწყობლობა, რაც უნდა იყოს, პარლამენტის წევრებს მაინც აქვთ სკამები, ისინი ადვილად თავსდებიან მათთვის დანიშნულ ადგილებზედ, მაგრამ რა უნდა ითქვას იმ ალაგებზედ, რომელიც დანიშნულია მაყურებელს საზოგადოებისათვის. ვიწროობა, მოუსვენრობა. საზოგადოება ვერ ჰხედავს მართებლობას, ვერ ისმენს დალაგებით ორატორებს. მაგრამ ამ მოუწყობელ დროს, ამ გარდამავალ ხანაში ესეც კარგია რაცა გვაქვს, უმადლოდეთ კიდეც ბ. კ. ჩხეიძეს, პარლამენტის თავმჯდომარეს. იმას ეტყობა, ბევრი წესიერება შემოუტანია პარლამენტში, ერთგვარი დისციპლინა სუფევს.

საზოგადო შთაბეჭდილება ისეთია, რომ მარცხენა მხარეზედ უფრო ხნიერი ხალხი სხედან და მარჯვნით კი უფრო ახალგაზდები. მარცხენა მხარეს ეტყობა, უფრო დაღლილობა, მემარჯვენეს კი სიმკვირცხლე, მარცხენა მხარეზე სხედან უფრო შავ-კანიანები, ჰალარით შემოსილნი, მარცხენას კი თეთრ-ფეროვანები, მარცხენა მხარეზედ თავ-ჩაქინდრულნი არიან და მორცხვათ შუაში ჩაუსვამთ ორი ყვითელკანიანი ქალი, რომელნიც ყოველთვის უფრო ხელის აწევისათვის მზად არიან ვიდრე ორატორობისათვის.

შემოდის ნ. ჟორდანია. თავის სავარძელში ჯდება. რაღაცას გულმოდგინებით კითხულობს.

ნუ თუ თავისი „იკარიის" სამფლობელოს აწერილობას ასწორებს და უნდა თავისი დებულებანი რეალურს ცხოვრებას შეუფარდოს! ძნელი საკითხი აქვს გადასაწყვეტი: მთელი მისი მუშათა პარტია, მთელი მისი არმია გვარდიაში მუშაობს, უგუნურ და შეუგნებელ გლეხთა თავგასულობის დაცხრომას უნდება.

მაგრამ ვინ უნდა განახორციელოს „იკარიის" სანატრელი ბედნიერება, თუ კი საითაც კი გაიხედავ ყველა უგუნური გლეხობაა, რომელთაც არა სწამთ შრომა ოცნებისათვის, რომელიც ერთობას გაურბის, რომელსაც მიწის სოციალიზაცია ვერ შეუგნია. ხიშტს, ურას და ქვის სროლას რომ სამოთხე დაემკვიდროს ქვეყნიერებაზედ ამისთვის ნაპოლეონი ძრიელ მომარჯვებული იყო, სხვა პატარა მბრძანებლებიც არა ნაკლებ.

იმ თორმეტ ათას გვარდიელზე და სხვა და სხვა სასურსათო კომიტეტთა ჩინოვნიკებზედ უნდა დაემკვიდროს „იკარიის" სამეფო?!

ვნახოთ, ვნახოთ!

დემოკრატიულ რესპუბლიკას აქვს ჩვენში ნიადაგი, მაგრამ ის ღონე, ის მოსაზრებანი, რომლითაც ჩვენი საპატიო ნ. ჟორდანია ხელმძღვანელობს ჩემის ფიქრით ვერ დააფუძნებენ რესპუბლიკანურს ნიადაგს.

ნ. ჟორდანიას დებულებანი ვერ ასაზრდოებს უმრავლესობის წყურვილს, წინააღმდეგ ისინი არევ-დარევას გამოიწვევს.

ხალხი რომ გაიძახის, მაგარი მთავრობა გვინდაო, ეს მათ გულის და ინსტიქტის კარნახია.

ამაზედ ფიქრი [illegible] ბა ეჭირვება ჩვენს ნ. ჟორდანიას.

მოკეთე.

რედაქტორი გერონტი ქიქოძე.


# განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

თბილისიდან გადის

| | | | საათი | წ. |
|---|---|---|---|---|
| ფოთისკენ | № 23 | | 7 | 50 |
| „ | № 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9/10 | საღამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 10 |
| „ | № 8 | დღის | 3 | 35 |
| სანაინისკენ | № 4/30 | დღის | 1 | — |

თბილისში მოვა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთიდან | № 24 | შუად. | 12 | 47 |
| „ | № 4 | საღამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11/12 | დილის | 6 | 53 |
| განჯიდან | № 3 | საღამ. | 4 | 30 |
| „ | № 7 | დღის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № 40/3 | დილის | 11 | — |

თბილისის დროით.

# საქართველოს მეურნეთა

და მიწის მესაკუთრეთა კავშირის საბჭო ამით აცხადებს, რომ ყოველნაირი ცნობების მიღება და კავშირში წევრათ ჩაწერვა შეიძლება შემდეგის მისამართით: ბარიატინსკის დაღმართი № 5. სამეურნეო საზოგადოების შენობაში. მუდამ დღე 11—1 საათამდე, კვირა უქმის გარდა. (3—1809—1)

# ქართულის კარგი მცოდნე

კისრულობს: მოხსენებათა, პროექტბბის, წერილების წესდებათა და სხვა ქაღალდების თარგმნას.

მიჰმართეთ „საქართველოს" რედაქციაში მდივანს, დილის, 9 სათიდან 3 საათამდე. საღამოობით წყნეთის ქუჩა № 30. (1—1022—1

# ინტელიგენტ ქალთა წრე

**იღებს შესაკერავებს** როგორც საზეიმო, აგრეთვე საშინაო და საგარეო კაბებისას და „კოსტიუმებისა"-ს როგორც მოზრდილთათვის, აგრეთვე ბავშთათვის, ყოველგვარ მხატვრულ საქარგავ-საქსოვებს. „წრის" სკოლაში მოწაფეებთან მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბრიდან; მოწაფეების მიღება უკვე სწარმოებს (ღარიბები უფასოთ). აქვე მიიღება „მერეჯკები". სკოლა უფლებებით აღჭურვილია. ვერის დაღმართი, სახლი № 3, ბანა 9. შესავალი წიგნის მაღაზიის გვერდით. 10—7

ექიმი

## ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია და მასსაჟი

**მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად. თ.—1536—50

ქალ. ქუთაისში

მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა

**ქირ. და ქალთა სნეულებას**

## საავათმყოფო

სამშობიარო განყოფილებ.

მწოლარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. 15—1739—11

**სამკურნალო კაბინეთი ექიმის**

**ალექსანდრე დავითის ძე**

## კიკილიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

[illegible] 40 ბაისხა [illegible]

## სამკურნალო

**ყოველგვარ ავადმყოფთათვის ექ. ი. მ. მძინარიშვილის და დ. ი. [illegible]**

საავადმყოფოში იარსებებს კბილის **საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.**

მიხეილის პროსპექტის („კიროჩკინი" ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩკინ ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

**ვენერიულ** ავადმყოფების მიღება— საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

**ღარიბები მიიღებიან კვირაობით,** 10—12-მდე უფასოდ.

მედიცინის დოქტორი

**ბერლინის უნივერსიტეტისა**

## გ. გ. მუხრანბატონი? 

**ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.**

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის— ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

გაიხსნა

## თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

## [illegible] დოხნინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო"-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფონი 5—97.

ექიმი

## მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის" ახლოს.

**დოქტორი მედიცინისა**

[illegible]

## კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.